სამშაბათი, 1918 წ. თებერვლის 6 (19) № 29
წელიწადი მეორე

სამშაბათი 1918 წ. თებერვლის 6 19 № 29
ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მიტანით თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 20 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## დღეს:

### ცნობები:

ინგლისელები მურმანში მაგრდებიან.—ბოლშევიკებმა გამოსცეს დეკრეტი ფლოტის დემოკრატიზაციის შესახებ.—ინგლისს ფინლიანდიის დამოუკიდებლობა არ უღიარებია.

ოსმალეთის ჯარს ტრაპიზონი და რიზე დაუჭერია.—სადგურ ულუხანლუსა და ნორაშენს თათრები ესხმიან.—ულუხანლუსთან მესამე დღეა რაც თათრებსა და სომხების ბრძოლაა.—გეგეჭკორმა აცნობა ვახიბ-ფაშას, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა მზადაა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება გამართოს.

### წერილები:

**მთავარი.** დერჟიმორდების პარტია.
**ბივი გოლლენდ.** აგრარული ანარქია.
**ქართული პრესა.** სოციალ-დემოკრატები და სოფლის ანარქია.
**რუსული პრესა.** ბოლშევიკები და კომისარიატი.
**ბ. გგაზავა.** სიტყვა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მიტინგზე წარმოთქმული.

**ივ. ქუთათელაძე.** ქართველ ზეითლების ყრილობის შესახებ.
**ბ. ჯანდიერი.** ილიასეულ მამულების გაყიდვის შესახებ.

**საქართველოს ეროვნულ საბჭოს მოწოდება.**

ტფ. ქართ. კათოლიკეთა ეკლესიის წ-ა საფარის
ძმობის საბჭო
იწვევს მათ, ვისაც სურს აიღოს
იჯარით საბაღო ადგილი,
რომელიც მდებარეობს სოლოლაკში, (ლუკოვსკი ქუჩა, 3 უბანი).
თხოვნის მისამართი: ძმობის საბჭოს, საკუთარი სახლი, ქართ. კათოლიკეთა ეკლესიასთან, კათოლიკეთა ქუჩა № 4 (4 უბანი).
თხოვნა მიიღება 11 თებერვლამდე. 1—1002—1

ქართული კლუბი
ქართ. დრ. წარ. № 32.
ხუთშაბათს 8 თებერვალს თბ. ქართ. დრ. დასის მიერ გიგ. გუნიას მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება
აღლუმი
კომედია 4 მოქ. გ. გუნიასი.
მონაწილეობს მთელი დასი
დასაწყისი საღ. 7 ნახევარ საათზე
2—985—1 რეჟ. გ. შალიკაშვილი

საქართ. ერ. დემ. პარტიის
პირველი უბნის კომიტეტი
ამით აცნობებს, რომ სამშაბათს, თებერვლის 6-ს, საღამოს 5 საათზე გაიმართება საზოგადო კრება ქართულ გიმნაზიაში.
კრების საგანი: 1. მომენტი და ტაქტიკა.
2. მოხსენება კონფერენციის შესახებ.
3. არჩევნები კომიტეტის წევრთა.
2—1 პირველი უბნის კომიტეტი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მთავარი კომიტეტი
იმყოფება სასახლის ქუჩაზე № 5, (გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ბინა). ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმკარგულებელში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულებათა შეტანა.

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

კოოპერატივებო და კოოპერატორებო,
დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის
მოგროვებით, ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს
ნაწილი საბჭოსათვის.
საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.
ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.
(5—903—1)

სამკურნალო კაბინეთი ექიმ
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „მოსკოვის“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობანი — ფილტვის — ჭლექის და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა (ს.ი.) სხივებით. დიდი სოლუქსი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანის სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., მებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92.
თ—986—6

სამკურნალო კაბინეთი
პ. ს.
ფონ-ირტელისა
ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და $4\frac{1}{2}$—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.
თ—920—32

დოქტორი და [illegible]
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი ალ. [illegible] კლინიკისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს 8—9 [illegible] საღამოთი 5—7.
ტელეფ. № 17—21.

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინისა.
იღებს შინაგან და ნერვების ავადმყ. (პსიხოტერაპია) სამშაბათობით, ოთხშაბათ., ხუთშაბ. და პარასკევ. 3—5 საათ. ოლღას ქუჩა № 22.
თ—989—6

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განაახლა
ავადმყოფების მიღება.
10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.
ოლღას ქუჩა, № 22.
25—828—73

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
ჟორდანია
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული [illegible] და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე.
1თ—960—1

## ქართველ ერისადმი

მოქალაქენო! რევოლუცია განსაცდელშია. რუსეთში ძლიერ არსებობს დემოკრატიის თანაგრძნობით და საყოველთაო ნდობით აღჭურვილი მთავრობა. სამოქალაქო ომი გაჩაღდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ბოლშევიკების მთავრობამ თავისუფალი ერების წინააღმდეგ მახვილი აღმართა. ძმათა შორის სისხლი იღვრება. ბნელი ძალები ამოძრავდნენ და მშვიდობიან მცხოვრებთ იკლებენ. ეს რევოლუციის დასამარებას და სამშობლოს დაღუპვას უმზადებს. ბოლშევიკების თარეში გზას უკაფავს რეაქციის თარეშს.

მოქალაქენო! თქვენ უნდა იხსნათ დიადი რევოლუცია! დადგა დრო, როცა კითხვა იარაღმა უნდა გადასჭრას, [illegible] საომრად დაირაზმენით. ხალხის თავისუფლების შინაური და გარეშე მტრებისაგან დასაცველად დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგ. შვეიცარიაში, დაწესებულია სახალხო მილიცია, ანუ ხალხის საყოველთაო შეიარაღება. ჩვენც აქეთკენ ვისწრაფვით. ამ მიზნით ჩვენ გადავსწყვიტეთ, ახლავე შევუდგეთ სახალხო მილიციის შედგენას. ყველა მოქალაქე 18-დან 45 წლამდე გარდა სამხედრო ბეგარის მოხდელთა, ვალდებული იქნება თავისს სოფელში ორი თვის განმავლობაში გამოცხადდეს ხოლმე სავარჯიშოდ და თოფ-იარაღის ხმარების შესასწავლად. ხელმძღვანელებად დანიშნული იქნებიან სამხედრო ხელოვნების მცოდნე პირები. საქმის მოწყობა და მეთაურობა აღმასრულებელ კომიტეტებს დაეკისრება. მიღებულია ყოველი ზომა საკმაო იარაღის შესაძენად და ხალხის საყოველთაოდ შესაიარაღებლად. როცა ეს განხორციელდება, საქართველო ამ მხრივ დემოკრატიულ შვეიცარიას დაემსგავსება. მაგრამ დრო არ ითმენს, ახლავე საჭიროა სამხედრო საქმეში გაწვრთნილი პირები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება რევოლუციის ხსნა, ქვეყნის დაცვა და ბნელი ძალების ალაგმვა.

და აი ამ მიზნით ამიერ-კავკასიის კომისარიატი მოქალაქეთ სამხედრო ბეგრის მოსახდელად იწვევს. ყველა მოქალაქე 19-დან 25 წლამდე გამოძახებულია ჯარში [illegible] და ეროვნულ პოლკებში ჩაეწეროს. დღემდის ხალხისათვის სამი-ნახევარი წელი გრძელდებოდა. ახლა ჯარის კაცებს მხოლოდ ექვსი თვით იწვევენ. ეს სახალხო მილიციისაკენ გარდამავალი საფეხურია. დღემდის ჯარის-კაცებს შორეულ რუსეთში ისტუმრებდნენ და იქ უცხო ენაზე ავარჯიშებდნენ. ამიერიდან ჯარში გაწვეული ახალგაზრდები უმთავრესად თავის სამხრო ქალაქებში დარჩებიან, თავის ცოლ-შვილის ახლოს, და სამხედრო ხელოვნების შესწავლაც სამშობლო ენაზე მოხდება. ამ ჯარის დანიშნულება იქნება შინაური წესრიგის უზრუნველყოფა და რევოლუციის და სამშობლო ქვეყნის ყოველნაირი საფრთხისაგან დაცვა.

მოქალაქენო! ბნელი ძალები და პროვოკატორები შეეცდებიან თქვენთვის გზების აბნევას. უკვე ხმებს ავრცელებენ, თითქოს ამიერ-კავკასიის კომისარიატი ახალ ომს იწყებდეს. ნუ დაუჯერებთ პროვოკატორებს! ამიერ-კავკასიის ადგილობრივი მთავრობა ზავს უტრფის და ყოველი საშუალებით ამზადებს.

ბოლშევიკების მთავრობა ხალხს ჰპირდებოდა დაუყოვნებლივ ზავს, ანექსიის და კონტრიბუციის გარეშე თვით-გამორკვევის ნიადაგზე. მაგრამ ხალხი მოტყუებული დარჩა — ზავის და მშვიდობიანობის ნაცვლად ბოლშევიკების პოლიტიკამ დაბადა საშინელი ანარქია, საყოველთაო დარბევა და ხოცვა-ჟლეტა. ახლა მათ სულ გააშიშვლეს ყველა ფრონტი და მთელი რუსეთი გერმანიის იმპერიალისტები სამსხვერპლოზე გაიტანეს. ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ უნდა შევკრათ ნამდვილი, დემოკრატიული და სამართლიანი ზავი.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ოსმალეთს განცხადებით მიმართა, რომ ის მოსურნეა ზავისა. ადგილობრივი მთავრობა დაჩქარებით შეეცდება, რომ ზავზე საბოლოო მოლაპარაკებას დაუყოვნებლივ შეუდგეს.

ახალი ჯარი რევოლუციის დარაჯი და მოქალაქეთა საუკეთესო დამცველი იქნება, ვიდრე სახალხო მილიცია გაიწვრთნება და შეიარაღდება, რომელსაც საბოლოოთ გადაეცემა ხალხის და მისი თავისუფლების სვე-ბედი.

მოქალაქენო! ქართველი დემოკრატია მუდამ რუსეთის რევოლუციის მოწინავე რაზმს წარმოადგენდა. ის თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს ახლანდელ მძიმე ხანაშიაც. დე, ყველა ახალგაზრდა გამოცხადდეს დანიშნულ ადგილებზე ხალხის უფლებათა დასაცველად, მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლად და მკვიდრი ზავის დასაჩქარებლად.

მოქალაქენო, აასრულეთ თქვენი მოვალეობა!

გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოლიდარობას!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას!

**საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.**

## თბილისი, თებერვლის 6

## დერჟიმორდების პარტია

(რუსის სოციალისტ-რევოლუციონერები)

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას რომ კავკასიელი რუსი შავრაზმელობა და ჩინოვნიკობა დაეპატრონა, ამაზე არა ერთხელ მიგვითითებია ჩვენ იმ სოციალისტ-რევოლუციონერებისთვის და კერძოდ პარტიის ქართველ წევრებისთვის, რომლებისაც ჩვენ გვჯეროდა და გვწამდა. ამ ჟამად ამ შავრაზმელობამ, რუსულმა ცენტრალისტობამ და ქართველობის მოძულეობამ მთლად ჩაინთქა ეს პარტია.

აშკარა სახე-გახსნილობა რუს დერჟიმორდებისა დამფუძნებელ კრების კავკასიელ წევრთა ყრილობაზე დაიწყო. ამ ყრილობაზე სოციალისტ-რევოლუციონერები კავკასიის სეიმის წინააღმდეგ გამოვიდნენ და ამით აშკარად დაამტკიცეს თუ რა ყოფილა ან მათი ფედერალიზმი, ან მათი სოციალიზმი. რევოლუციის ათი თვის განმავლობაში თბილისის სასახლე, ისე არასოდეს არ გვაგონებია რევოლუციის წინა დროის სასახლეს, როგორც ამ ყრილობაზე, როცა სოციალიზმის ქურქში გახვეული რუსის ჩინოვნიკობა ერთხელ კიდევ შეეცადა თავისუფლების ჩახრჩობას. თუ ეს მათ ვერ მოახერხეს, მხოლოდ მიტომ, რომ, ჩვენდა საბედნიეროდ, გასოციალისტებულ დერჟიმორდებს ჩვენი ხალხი კარგად იცნობს და მათ ვერ მიანდობს საკუთარ ბედის გადაწყვეტას. დერჟიმორდების პარტია, პარტია, რომელსაც „[illegible]“ სახელი უფრო შეეფერება, რადგან სხვა მისია მას კავკასიაში არა დარჩენია რა გარდა იმისა, რომ ბოლშევიკური ჯარი როგორმე გაიყვანოს კავკასიიდან,—ყრილობიდან სირცხვილ ნაჭამი დაბრუნდა.

მაგრამ რადგანაც ყრილობაზე მათი ფუნქციონერობა და შავრაზმელობა ქართველმა დეპუტატებმა გამოაშკარავეს, ისინიც მთელ ჯავრს ქართველებზე ყრიან. კამპანია ჯერ თავის ქართველ ამხანაგების წინააღმდეგ დაიწყეს და ეს ერთი ხანია ივრიშები მო-

აქვთ სამხედრო კომისარ ვლ. გობეჩიაზე. გობეჩია პირველი დამაარსებელია საქართველოში სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიისა და მას არ სჭირია ვისიმე ქომაგი. თქმა არ უნდა ქართველი დემოკრატია და რუსეთის დემოკრატია ვლ. გობეჩიას უფრო იცნობს, ვიდრე ჩემოდანოვებს, მერხალიოვებს და სხვა ბედის მაძიებელ მარტის თვის რევოლუციონერებს, რომელთაც უკვე არავითარი პოლიტიკური სარბიელი აღარა აქვთ კავკასიაში, რადგანაც ის, ვის ინტერესებსაც ისინი ემსახურებოდნენ—რუსის ჯარი—უკვე წავიდა კავკასიიდან, თავისი განწყობილება კი კავკასიის ერებისადმი მათ ცხად-ჰყვეს დამფუძნებელ კრების წევრთა ყრილობაზე. ამიტომ იბადება საკითხი, ვის საქმეს აკეთებენ ეს ვაჟბატონები, ვისთვის ირჯებიან, ან რად სხედან სხვა და სხვა ცენტრებში, როდესაც მათმა მანდატებმა უკვე დაკარგეს თავისი მნიშვნელობა. ვისი წარმომადგენელია მაგალითად ბ-ნი ჩემოდანოვი, ან მერხალიოვი? იქნებ ქართველი დემოკრატიის, ან სომხის, ან თათრის? ჩვენის ღრმა რწმენით მათი ყოფნა ასეთ საპასუხისმგებლო ორგანიზაციებში უკვე პატიოსნების და ეთიკის საკითხია და თუ ეს ვაჟბატონები მართლა პატიოსანი პოლიტიკური მოღვაწენი არიან, რაკი მათმა მანდატებმა მნიშვნელობა დაკარგეს, უნდა კიდეც გადადგნენ თავის ადგილებიდან, რათა თავის შავრაზმელობით ხელს არ უშლიდნენ ხალხისაგან აღიარებულ ბელადებს მუშაობაში. თბილისი და მთელი ჩვენი რევოლუცია სასტიკ დღეებს განიცდის, ჩვენ არ ვიცით რა მოხდება ხვალ, ჩვენ კი ვიცით, რომ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ დაადგინა, მიემხროს ბოლშევიკებს, თუ ეშელონები თბილისზე თავდასხმას მოინდომებენ. და ასეთი პარტია ჩვენში რევოლუციონურ პარტიით ითვლება და არიან გულუბრყვილონი რომელთაც ამ პარტიის გულწრფელობა სწამთ. კმარა კაკემალულობა და უკვე დროა ეს პარტია იმ სახელს ატარებდეს ჩვენში, რომლის ღირსიც ის არის.

## აგრარული ანარქია

ცუდი ამბები მოდის ქართლიდან: საქართველოს გული ლაჰმის აგრარულმა ტერორმა გასჭრას სასტიკი მახვილით. მოჰკლეს: ორი ძმა ციციშვილი, ერთი მათი ბიძაშვილი, მაღალაშვილი, ყარანგოზიშვილი, თურქესტანიშვილი, ქველიძე და სხვა. გაზეთებმა გადმოგვცეს: თავს ესხმიან ავლევის, თამარაშენის, ცერონისის, კნოლევის და სხვა გორის მაზრის სოფლების მემამულეებს: ამირეჯიბებს, ბაგრატიონ-დავითაშვილებს, ფალავანდიშვილებს. ძალზე გაულახავთ: ზ. ნ. ფალავანდიშვილი, დუშიკო ფალავანდიშვილი („გლეხთა პარტიის" ლიდერთაგანი), ლუკა ფალავანდიშვილი, ალექსანდრე ფალავანდიშვილი. უცემიათ აგრეთვე კონსტანტინე ამირეჯიბის მოურავისათვის,—უგინებიათ სიტყვით კონსტანტინე ამირეჯიბი, ავლევის რაიონის კომისარი. მემამულეებისათვის წაურთმევიათ ვერცხლი და ოქრო. ქვემო ხანდაკში თოფით დახვრიტეს ილია ჩოქოვანი და სხვ.

აგრარულია ეს მოძრაობა, თუ კიდევ სხვა რამ,—ეს ჯერ კიდევ გამოცნობილი არ არის. ეს კი ცხადია, რომ ამ მოძრაობას მიზნად აქვს თავადაზნაურობის და საერთოდ ინტელიგენციის წინააღმდეგ გალაშქრება, მიუხედავად უკანასკნელის სოციალი დაყოფისა,—და თვითონ მოძრაობა კი თან და თან სისხლიანი სტიქიონით იმოსება. და მართლაც: ფალავანდიშვილები მაგალითად შეუძლო თავადიშვილებად ითვლებიან ქართლში: მათი მატერიალი ქონება ისეთს რამეს არ წარმოადგენს, რომ იგი სოციალი თვალსაზრისით სახარბიელო იყოს გლეხებისათვის. კიდევ უფრო ცხადია მოძრაობის სტიქიონობა?! ან როგორ წავა შეგნებული გლეხი კონსტანტინე ამირეჯიბის წინააღმდეგ, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სოფელს შესწირა: შეიტანა შიგ ევროპიული ცოდნა და გამოცდილება და რამოდენიმე წლის განმავლობაში ავლევი უმშვენიერეს კულტურულ სოფლად გადააქცია?!

მგონი, სხვა კუთხეში საქართველოისა ისე მაგრად არ ყოფილა ფესვგამდგარი ფეოდალიზმი, როგორც ქართლში. და ფეოდალიზმის ნაშთები სხვაგან ისე ისე მძაფრად არ ყოფენ თავს, როგორც ქართლში. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ 1905 წელს აგრარულმა მოძრაობამ ქართლში ყველაზე უფრო საშინელი ხასიათი მიიღო. გარდა ამისა: არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ფსიხოლოგიურად ძლიერ ამწვავებს ქართლში მემამულეთა და გლეხობას შორის ურთიერთ დამოკიდებულებას: ეს არის მემამულეთა (მცირედი გამონაკლისით) „ძველებური" მეურნეობა: ქართლში ძვირად მონახავთ ისეთს მემამულეს, რომელიც მართლაც „მეურნეულად" ამუშავებდეს მამულს: იგი უმეტეს წილ ღალით ცხოვრობს. ასეთი „უშრომობა" კი, სხვა არა იყოს რა, მშრომელ გლეხობაში და ერთგვარ გაღიზიანებას მაინც გამოიწვევს. ამ საერთო მიზეზებს დღეს კიდევ მათი განსაკუთრებული მიზეზიც ემატება: ეს არის დაბრუნებული სალდათობის სულის განწყობილება: ომით მოღალულობა, უმცროს—უფროსობის გრძნობის დაკარგვა, საერთოდ ანარქიული გუნება. ყველა ეს გარემოებანი სერიოზულ ნიადაგს უმზადებენ აგრარულ მოძრაობას ქართლში.

ამ მოვლენას ანგარიში უნდა გაუწიონ ეხლავე ჩვენში მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა,—განსაკუთრებით იმ პარტიამ, რომელსაც საქართველოს თითქმის ოთხმოც-და-ათი პროცენტი ნდობას უცხადებს. საქართველოს ბედი დღეს მეტწილად სოციალ-დემოკრატების ხელშია. მუშა-კლასის გარდა, მას წვრილი მესაკუთრე გლეხობის ინტერესების დაცვაც აქვს აღნიშნული თავის პოლიტიკო-ეკონომიურ პროგრამაში,—და თავის-თავად ცხადია, მან უნდა მოუნახოს შეგნებული გადაწყვეტა აღნიშნულ მოძრაობას. იგი უნდა შეიჭრას სოფლად და საქმიანი სიტყვით დააჯეროს გლეხობა, რომ პოლიტიკური ძლევამოსილება საქართველოში მას აქვს,—და როცა აზვირთებული საერთო ანარქია შენელდება, იგი მართებულად გადასჭრის მიწის საკითხს. დარწმუნებული ვართ, ამგვარი მოქმედებით ხსენებული პარტია უთუოდ შეაჩერებს გლეხობის ამხედრებულს სტიქიონს.

გარდა ამისა: საქართველო ისტორიულად განსაკუთრებულს პირობებში იმყოფება. იგი რიცხვით ორ-მილიონ ნახევარს წარმოადგენს,—ეს რიცხვი კი დღეს ცოტა არის კულტურული ერისათვის. რიცხვს სოციოლოგიურად ერის ცხოვრებაში საზოგადოთ დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართველებისათვის—კიდევ ზედმეტი. და ყოველი ქართველი უნდა ცდილობდეს საქართველოს ფიზიკურადაც დაცვას. თუ სამოქალაქო ომში ჩვენ ერთი მეორეს დავუწყეთ ხოცვა, მაშინ რაღათ გვინდა ან ეროვნული თავისუფლება და ან რომელიმე სოციალი იდეალის განხორციელება: ერთი-მეორის შინაგანს ბრძოლაში გაჟლეტილს ერს აღარც პირველი ეჭირვება და აღარც მეორე. ამისათვის საჭიროა სოციალისტური ლოზუნგების მეტი სიფრთხილით ხალხში გადასროლა. ვინ იცის, რამდენ სიბოროტეს წარმოშობს ეხლა ასეთი სიტყვები: „გაყვლეფა", „სისხლის მწოველები", „გაბატონებულები" და სხვა. განსაკუთრებით უადგილოა ამ ჟამად სოციალი რევოლუციის ქადაგება. ერი, რომლის ბედი „ბეწვზე ჰკიდია", სოციალი საკითხების სავსებით გადაჭრას ვერ მიუდგება: მან ჯერ თავის თავი უნდა დაამკვიდროს და განამტკიცოს და მხოლოდ შემდგომ ექნება მას შეძლება შემოქმედი ხელი მიჰყოს სოციალს რღვევასა და შენებას. წინააღმდეგ შემთხვევაში: თუ ერი, რომლის, როგორც ერის, ყოფნა საეჭვო და საბედოა, სოციალ წინააღმდეგობათა გაღრმავებას გაჰყვა, იმ შემთხვევაში საცილო აღარ იქნება მისი დაღუპვა: იგი ამ „გაღრმავებას" თან გადაჰყვება.

გიგა გოლდენდ.

## ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა" სწერს:

„გორის მაზრის ზოგიერთა სოფლებში უკმაყოფილო ელემენტები განსაკუთრებით კი ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ჯარის კაცები მემამულეების წინააღმდეგ ამხედრებულან, ანარქისტული ბრძოლის საშუალებანი შეუთვისებიათ და ზოგიერთა მემამულეების წინააღმდეგ ამხედრებულან, ანარქისტული ბრძოლის საშუალებანი შეუთვისებიათ და ზოგიერთა მემამულეები ამოუხოციათ.

ჩვენ ასეთ ბრძოლის საშუალებას მუდამ და ყოველთვის ვებრძოდით და მას არ ვიზიარებდით. სოციალ-დემოკრატები მეცნიერული სოციალიზმის შეხედულების მატარებლები ვართ და სოციალური ცვლილების მოსახდენათ ტერორსა და ძალმომრეობას არ მივმართავთ. ასეთი ბრძოლის საშუალება დიდი ხანია დაგმობილია და მას რევოლუციონურ საშუალებათ არ ვრაცხთ.

ჩვენ ვიცით, თუ რუსეთში ანარქისტულმა მოძრაობამ როგორ გადასწყვიტა გლეხთათვის მიწის დიდი საკითხი იქ ბოლშევიკების დეკრეტებისა და აგიტაციის მეოხებით გლეხებმა მხოლოდ დიდი მემამულეების სამეურნეო იარაღები ანარქისტულად დაიტაცეს და მიწის დეკრეტი ცხოვრებაში არ გაატარეს. გლეხთა ორგანიზაცია სასოფლო კომიტეტების შედგენა, რევოლიუციონურ წესის განმტკიცება, აი ის მთავარი პირობა, რომელიც გლეხკაცობას მიწას მიანიჭებს, მიწის დეკრეტს ცხოვრებაში გაატარებს. დანარჩენ საშუალებას, ანარქისტულ ბრძოლის მეთოდს სასტიკად ვკიცხავთ და მას დაუნდობლად ვებრძვით, მით უმეტეს ხოცვა-ჟლეტას. ორგანიზაციული ბრძოლის საშუალებით შეგვიძლიან მემამულეებს მიწა ჩამოვართვათ და მით მათი [illegible] თავიდან ავიცილოთ.

ძალმომრეობა და ხოცვა-ჟლეტა რეაქციის გაძლიერების ნიშანს და მას მთელი ჩვენი ენერგიით ვებრძვით და ვგმობთ.

ასეთი სიტყვიერი დაგმობა ჩვენს ქვეყანაში უკვე ფეხმოკიდებულ საშინელებისა სასწაულს ვერ მოახდენს. საჭიროა ასეთს მოვლენებთან სასტიკი ბრძოლა არა ზეპირად მარტო, არამედ მთავრობისა და რევოლუციონური ორგანოების საშუალებით. თუ დროზე არ იქნა მიღებული უკიდურესი ზომები, ქართლის საშინელება გადამდებ სენსავით გავრცელდება ჩვენს სამშობლოში და ეს მარტო მემამულეთათვის არ იქნება საშიში.

## რუსული პრესა

### ბოლშევიკები და კომისარიატი

გაზეთი „კავკაზ. რაბოჩი" სწერს:

„ამიერ-კავკასიის მთავრობის ორგანოებს დამბლა დაეცა და ყველა სახსრები დაუშრა. დანამდვილებით შეიძლება იმის გამოანგარიშებაც, თუ როდის შესწყვეტს თავის გახრწნილ და სასიკვდილო არსებობას კონტრ-რევოლუციონერთა და ობორონცების ბლოკი. არ არის პური, არ არის ფული, ნავთი, ნახშირი, ლითონი, ქსოვილი და სხვა და სხვა, ერთის სიტყვით, არ არის ყოველივე ის, რითიც არსებობს საზოგადოება.

ყველაფერი იშლება. ამიერ-კავკასიის მთავრობას კი არაფრის გაკეთება არ შეუძლიან. შინაგან საქმეთა მინისტრს ფერი მისდის და ცახცახებს მის წინააღმდეგ მიმართულ ხიშტების წინაშე, ფინანსების მინისტრი პრემიერთან ერთად საღებავს ეძებს თავის ბონებისათვის (არავინ იცის რითი [illegible] მათი ძებნა); სასურსათო კომიტეტები სიმშილის ორგანიზაციებად გადაიქცა; ხოლო საზოგადოებრივი [illegible] მტანჯველთა [illegible] ფედ. თანდათან მაგრად უჭერს მშიერ სიკვდილის მარყუჟში. ამიერ-კავკასიის კომისარიატი კი ჯალათის როლში სცდება. კომისარიატი გაჰქრის ეწევა და თავის თავს ხალხის ბედისა მოვალედ არ აცხადებს. იგი განაგრძობს დაშლისა და ანარქიის საქმეს".

ბოლშევიკების აზრით ამ მდგომარეობიდან მხოლოდ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო დაგვიხსნის. ჩვენის აზრით კი მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული მთავრობა.

## საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მიტინგი.

გუშინ ქართულ კლუბის დარბაზში მთავარმა კომიტეტმა გამართა მიტინგი. მიტინგს ხალხი ბლომად დაესწრო. თბილისელ მოქალაქეთა გარდა მიტინგს ბლომად დაესწრო ჯარისკაცები და გლეხები. მიტინგი დაიწყო 11 ს. და სამს საათამდე გასტანა. შესახებ მომენტისა და საქართველოს მდგომარეობისა სიტყვები წარმოსთქვეს: გიორგი გვაზავამ, გრიგოლ ვეშაპელმა, ალექსანდრე ასათიანმა, დავით ვაჩნაძემ, იოსებ მაჭავარიანმა და შალვა ქარუმიძემ.

მიტინგმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მიტინგზე შეკრებილი მოქალაქენი მოსთხოვენ ეროვნულს საბჭოს:

**დაუყონებლივ შესდგეს საქართველოს ეროვნული მთავრობა, რომელიც შექმნის ძლიერ ჯარს, მოაწყობს ეროვნულ ხაზინას და დაიცავს საქართველოს მიწა-წყალს და თავისუფლებას გარეშე მტრისაგან და საშინაო ანარქიისაგან.**

### გიორგი გვაზავას სიტყვა

მოქალაქენო! ძნელია დღეს ლაპარაკი. ირგვლივ ანარქიაა, ძარცვა-გლეჯა, მხეცური მკვლელობა, და სხვა და სხვა არევ-დარევა. მიუხედავად ამისა არის ერთი ძირითადი იდეა, რომლის ირგვლივ ტრიალებს და უნდა იტრიალოს ყოველ მოძრაობამ. ეს გახლავთ იდეა ერთა განთავისუფლებისა. როგორც ბუნებაში არის ყოველ ნაირი მოძრაობა, მაგრამ ეს მრავალნაირი მოძრაობა ბოლოს და ბოლოს ემორჩილება ერთს დიდს კანონს—მიწის მიზიდულობას; სწორედ აგრედვე თავისუფლება არის უმთავრესი ძალა, რომელიც ბოლოს და ბოლოს დაიმორჩილებს ყოველგვარ სოციალურ მოძრაობას. ამ იდეამ გამოიწვია იტალიის და გერმანიის გაერთიანება, უნგრეთის განთავისუფლება, განთავისუფლება ბალკანეთის სხვა და სხვა ერებისა...

გადავიდეთ რუსეთში. მისი უკანასკნელი ისტორია დიდად საგულისხმოა. რატომ დამარცხდა რუსეთი? ამბობენ, რომ ეკონომიურად იგი ჩამორჩენილი იყოო, არ ჰქონდა იმას საომრეწველო და საფინანსო კაპიტალიო. რა საკვირველია, ეკონომიური სისუსტე—სისუსტეა, მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთის დამარცხება არ აიხსნება მარტო ეკონომიური ჩამორჩენით ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი არ იყო მიტოვებული თავის მრეწველობის და ფინანსების ანაბარად. ეს ცარიელი ადგილი ამოვსებული იყო სხვა სახელმწიფოების დახმარებით, რუსეთს ბოლომდე მოსდიოდა იარაღიც და ფულიც. მაინც რუსეთი დამარცხდა, არა იმიტომ რომ აკლდა სამრეწველო და საფინანსო კაპიტალი, არა, აკლდა კიდევ რაღაც სხვა... ეს გახლავთ კულტურული განვითარება, იდეა სამშობლოსი და თავისუფლებისა. ამ ცარიელი ადგილის ამოვსება კი მოკავშირეებმა ვერ შეიძლეს.

დამარცხებამ გამოიწვია რევოლუცია. გ. ი. დამხობა იმ წესწყობილებისა, რომელიც არსებობდა რუსეთში. ეს იყო თვითმპყრობელობა. მის წინააღმდეგ შეხვდნენ და გამოილაშქრებენ არა მარტო პროლეტარიატი, არამედ ყველა ის ელემენტებიც, რომლებიც დიდს შევიწროებას და ტანჯვას განიცდიდნენ თვითმპყრობელობის ქვეშ. აქ დაინტერესებული იყო მუშა ხალხიც, ბურჟუაზიაც და სხვა ერებიც. ამ დიდ რევოლუციაში ეროვნული იდეა იყო უძლიერესი შემოქმედი ძალა. მერე გაიგეს ეს რევოლუციის ხელმძღვანელებმა? სამწუხაროდ ვერ გაიგეს.

პარტიულ ლიტერატურაზე აღზრდილი გონება ყოველთვის ცდილობდა ყოველი მოვლენა ჩაეტევებინა დოქტრინალურ ჩარჩოებში. რუსეთის რევოლუცია [illegible] აღმოცენებული კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე და მიზნად დაიწყეს ეგრედ წოდებული „გაღრმავება რევოლუციისა" ესე იგი გარდაქმნა მისი სოციალურ რევოლუციად, თუმცა ეკონომიური განვითარება რუსეთისა ამისათვის არ იძლეოდა არავითარ საფუძველს. ამ შეცდომამ მალე მოისხა თავისი ნაყოფი—ლენინიზმი, რომელსაც ბოლოს (პეტროგრადში მაინც) დარჩა ბურთი და მოედანი. ამ ნაირად ჩააფუჩეს ეროვნული იდეა. თუმცა საგარეო პოლიტიკისათვის კი გამოაცხადეს ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევისა, მაგრამ შინაურ განწყობილებაში ეს იდეა გამოცხადებულ იქმნა პირდაპირ კონტრ-რევოლუციონურ ძალად. ქარაფშუტა კერენსკი ომით ემუქრებოდა ფინეთს, ემუქრებოდა უკრაინას, საცილოდ ადგენდა საქართველოს, ხელშეკრულობას და სხვ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებიდან განდევნილი ეროვნული იდეა წამოვიდა პეტროგრადიდან და მალე წამოიწია თავისი ბრწყინვალე კურსი სხვადასხვა ეროვნებების შუაგულში. ფინეთმა და უკრაინამ გამოაცხადეს თავისი დამოუკიდებლობა, ლატვია, მოლდავია, ყირიმი, დონი, ყუბანი, მთიულები და სხვანი აწყობენ და მოაწყვეს კიდეც თავიანთი დამოუკიდებელი მთავრობა. ეს ძლევამოსილი მსვლელობა ეროვნული იდეისა გასაოცარია. იმას ვერ ჰხედავს მხოლოდ ის, ვინც განზე ჰხუჭავს თვალებს.

აგრე დაემხო რუსეთის იმპერიალიზმი. იმპერიალიზმი არის ძალმომრეობითი ბატონობა ერთი ერისა მეორეზე. ძლიერი ერი ბრძოლით, მოტყუებით ან სხვა რაიმე ღონისძიებით, იმონებს მეორე ერს და იპყრობს მის მიწა-წყალს, თავის ბატონობის განსამტკიცებლად იგი თავდაპირველად სპობს ყოველ წყაროს ეროვნულ განვითარებისას, სკოლა, სამართალი, ადმინისტრაცია: ეკლესია და სხვა ამისთანა დაწესებულებანი იმ წამსვე გადადის გაბატონებულ ერის ხელში და ამნაირად დამონებულ ერს ესპობა ყოველი წყარო ეროვნული კულტურის და განვითარებისა. იგი თანდათან აღდგება გადაგვარების გზას, ეცვლება ფიქრი და შეხედულება და ტყდება ზნეობრივად. ამავე დროს გაბატონებული ერი იტაცებს დამონებულ ხალხის სიმდიდრეს, ნას მიწა-წყალს, მთა-მადნებს და საზოგადოდ შრომის ზედ-მეტ შემოსავალს. დამონებული ერი ღარიბდება. სიღარიბის გამო ვერ ეწყობა განათლებას, ვერ უწყობს შრომას, მისი შრომის ტექნიკა პრიმიტიულია და საცოდავი; ამნაირად ერი ეკონომიურად ჰრჩება წელმოწყვეტილი. ამნაირად იმპერიალიზმი სარგებლობს ორი მეთოდით—ეს არის—დენაციონალიზაცია და დეკაპიტალიზაცია.

მოწინააღმდეგე მიმართულება იქნება ერთა განთავისუფლებისა. აშკარაა, ამ განთავისუფლების იარაღი იქნება—ერთი ნაციონალიზაცია [illegible] დაწესებულებებისა, და მეორე—კაპიტალიზაცია ერისა, ე. ი. უკან დაბრუნება მთელი ტერიტორიის ბუნებრივი სიმდიდრის და ისე მოწყობა შრომის და ცხოვრებისა, რომ ყოველი მისი ნაყოფი დარჩეს და მოხმარდეს ისევე ერს. მაგრამ ყველაფერი ეს შეუძლებელია თუ არ არის პოლიტიკური თავისუფლება, თუ თვითონ ერი არ იქნება თავისი ბატონ-პატრონი, თუ მას არ მიენიჭება სრული ხელმწიფობა განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ეს არის პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

მაინც ბევრი ჩვენი პოლიტიკური პარტიები დღემდე ეკლაუჯებიან რუსეთს და თავის მიდრეკილების გასამართლებლად მოჰყავთ ის ისტორიული ხანა, როცა საქართველო დაუახლოვდა და მიეკრა რუსეთს. მაგრამ ავიწყდებათ, რომ მეთვრამეტე საუკუნე და ეხლანდელი დრო სრულებით არ წარმოადგენენ ერთ და იმავე პირობებს. წარსულში უმთავრესი ფაქტორი იყო სარწმუნოება, ეხლა კი ამ ფაქტორს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. თითქმის ერთი მესამედი საქართველოსი მაჰმადიანებია, ნუ თუ ამიტომ ჩვენ გვერდი უნდა აუქციოთ ჩვენს ძმებს—ქართველ-მაჰმადიანებს? ობიექტიური პირობებიც გამოცვლილია. უწინ, ირაკლი მეფის დროს, საქართველო მოწყვეტილი იყო მთელს ქვეყანას, და შავი ზღვა—დაკეტილი: იგი ტბა იყო ოსმალეთისა. როგორც იცით ეს გარემოებაც სრულებით გამოცვლილია. შავი ზღვის ირგვლივ ეხლა ბევრია თავისუფალი სახელმწიფოები—ბულგარეთი, რუმინია, უკრაინა, ამას მიემატება ალბად ყირიმი და სხვა ახალი სახელმწიფოები და იმათ შორის—საქართველოც. ომი გათავდება თუ არა, ბოსფორი და დარდანელი თავისუფალი იქნება ყველასთვის და მაშასადამე—საქართველოსთვისაც ღიაა კარი საერთაშორისო განწყობილებისათვის. რუსეთი ეხლა არ არსებობს, იმას არამც თუ არ შეუძლიან საქართველოს დაცვა, იმას თავისთავისაც ვერ მოუვლია. რუსეთმა დიდი ხანია ფაქტიურად აიღო ხელი საქართველოს და აი ღმერთმაც მშვიდობა მისცეს. რუსეთის ვალი კი თითქმის 80 მილიარდამდე ადის. თუ 1 პროც. კი ამ ვალისა საქართველოს მოახვიეს, თქვენი მტერია, ჩვენ დავიღუპებით. ეს ვალი ჩვენ არ აგვიღია, ომი ჩვენ არ გამოგვიცხადებია, და არ გვინდა არც ვალი და არც ომი. აქედან დასკვნა ერთია: უნდა გამოვაცხადოთ და დავარსოთ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.

მაგრამ როგორ? პოლიტიკური ძალა-უფლება ამიერ-კავკასიაში ჯერ-ჯერობით ამიერ-კავკასიის კომისარიატის ხელშია. კრიტიკა ადვილია, ამიტომ ძლიან კრიტიკას კი ნუ გავუკეთებთ ჩვენს სოციალ-დემოკრატებს. ეხლა განხეთქილება სამწუხარო იქნება, ეხლა არ უნდა დავარღვიოთ ეროვნული ფრონტი და არ ავტეხოთ შინაური ჩხუბი და დავიდარაბა. ციხე შიგნიდან ტყდებაო და თუ შინ დავიწყეთ ბრძოლა, ყოველი მტერი წაგვლეკავს. ეხლა ყველამ უნდა შეიგნოს, რომ დროებით მაინც გადადებულ უნდა იქმნას ყოველი კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, მოვა ამისი დროიც, ახლა ხანაა ეროვნულ განთავისუფლებისა. იცოდეთ, რომ ყოველი მტერი საქართველოსი ეხლა ცდილობს გამოიწვიოს ეს შინაური განხეთქილება. ჩვენმა მტრებმა ძალიან კარგად იციან, რომ შინაური ბრძოლა დასცემს საქართველოს, და გზას მის [illegible] გადასაყლაპავ [illegible] მხოლოდ ამიტომ შემოაქვსთ ჩვენში შხამი ბოლშევიკებისა. რა ვაჟბატონები ბრძანდებიან ეს ბოლშევიკები ნათლად სჩანს შაუმიანის განცხადებიდან: იმან აღუთქვა განთავისუფლება სომხეთს, და ამავე დროს ჩუმად არის საქართველოს ეროვნულ უფლებებზე! სომხეთს უქადის თავისუფლებას საქართველოში კი შემოაქვს შინაური განხეთქილება და სისხლის ღვრა. მიზანი აშკარაა.

მაგრამ საქართველოც არ არის ველური ქვეყანა, შეიძლება ამისთანა ქადაგებმა გადაიბიროს ერთი ორი შეუგნებელი ჯარის კაცი, შეიძლება აქა-იქ მოახდინოს კიდევ ხულიგანური მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა, მაგრამ საერთოდ ქართველი ერი შეიგნებს ნამდვილ თავის ინტერესებს და დარაზმული გამოვა თავის თავისუფლების და მიწა-წყლის დასაცველად. აი, 10-ს თებერვალს გაიხსნება ამიერ-კავკასიის სეიმი და, ეჭვი არ არის, უნდა გადაიჭრას ზავის საკითხი. ვის უნდა ომი? არ უნდათ ქართველებს, არ უნდათ მაჰმადიანებს. დარჩნენ სომხები. აქ იბადება დიდი პოლიტიკური წინააღ[illegible] აუცილებლივ [illegible] რომელშიც უნდა [illegible]ლური განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიისა.

რაც გინდა იყოს აუცილებელია შედგენა საქართველოს ეროვნულ მთავრობისა. მთავრობა არა მარტო „თავია", იგი გულიც არის, გული, რომელიც ჰქმნის და ამოძრავებს ეროვნულ სისხლსა, ეროვნულ ძალებს. მთავრობის ჩანასახი ჩვენ უკვე გვაქვს. ეს არის ჩვენი ეროვნული საბჭო. აი, ჩვენ ვდგევართ ამ მოთხოვნილების წინაშე და ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ამ დღეებში. იგი აუცილებლად გადაწყდება—სხვა გზა არ არის, მაგრამ რომ იგი გახდეს ძლიერი და ენერგიული, საჭიროა ჩვენ გავიმსჭვალოთ საქართველოს განთავისუფლების იდეით, ჩავეწეროთ ჯარში, შევიტანოთ იქ დისციპლინა და შეგნება წმინდა მოვალეობის ერის და მამულის წინაშე. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს. (ტაში).

## ზავის გარშემო

### გერმანეთის ულტიმატუმი რუმინეთისადმი

გერმანეთის მთავრობამ იანვრის 24 რუმინეთს წარუდგინა ულტიმატუმი: რუმინეთმა უნდა ზავი ითხოვოს. ულტიმატუმს ვადა 4 დღეზე გასდის.

### ზავი ავსტრო-უნგრეთთან

### ტყვეების გაცვლა

**პეტროგრადი.** იანვრის 21. სახალხო კომისრების საბჭომ დაამტკიცა ავსტრია-უნგრეთთან დადებული შეთანხმება სამოქალაქო ტყვეების, დედაკაცების, მოხუცებულების და ბავშვების გაცვლის შესახებ. გერმანეთთან ჯერ ამის შესახებ შეთანხმება არ მომხდარა.

### ინგლისური პრესა

ლონდონიდან იანვრის 27-ის თარიღით იტყობინებიან: „მანჩესტერ გვარდიანის" აზრით უკრაინასთან ზავის შეკვრა კლემანსოსა და პოსონის დამარცხებაა, რადგან მათ ეგონათ რომ უკრაინიდან ბრძოლა გაწარმოებინათ ბოლშევიკების პოლიტიკის წინააღმდეგ.

## ომი

### კავკასიის ფრონტი.

### ჯარების წამოსვლა.

კავკასიის ფრონტიდან ჯარები უწესრიგოდ მოდიან. იგინი სტოვებენ ანდა ანადგურებენ დიდძალს იარაღს. სდგება სომეხ-მოხალისეთა რაზმები. ოსმალებმა განაცხადეს, რომ თუ კლიაკიტის რაიონში მოვა სომეხთა რაზმები, ისინი მაშინვე წავლენ და თან წაიღებენ ოსმალთა მოსახლეობას.

ბათუმ-ერთ-ტრაპიზონის განადგურებული სატელეგრაფო ძაფი კეთდება საგანგებო კომისიის მიერ.

### ინგლისელების გამაგრება მურმანში

პეტროგრადიდან მოსული ცნობით, ინგლისელები გამაგრებულან მურმანზე. სახალხო კომისართა საბჭო ამას შესახებ ოფიციალურად შეეკითხა.

### იაპონელების კრეისერები ვლადივოსტოკში

ვლადივოსტოკში იაპონელ კრეისერების მოსვლის გამო იაპონიამ სახალხო კომისართა საბჭოს შეატყობინა, რომ ამ დღეებში კიდევ მოვლენ იაპონელი კრეისერები, რადგანაც იაპონიას საჭიროდ მიაჩნია თავის ქვეშევრდომთა დაცვა შორეულ აღმოსავლეთში.

# ბოლშევიკების დიქტატურა

## პეტროგრადში

### ლენინის დიქტატურა

სმოლნიში ლენინის დიქტატურა გამოცხადდა. მთავრობა ფაქტიურად ტროცკისა და ლენინის შუა განაწილებულია. ტროცკი განაგებს საგარეო საქმეებს, ლენინი საშინაოს. ინტელიგენცია მოელის დეკრეტს „[illegible]" შესახებ.

### გერმანული პრესა

„ფორვერტს"-ს დამფუძნებელ კრების გარეკა მწუხარე ამბად მიაჩნია. „ახლანდელ მთავრობასთან შეკრული ზავი ხომ კვერცხის ნაჭუჭად არ ღირს"-ო სწერს „ფორვერტს"-ი.

### ფრანგი ციმბერვალდისტები ლენინის შესახებ.

**პარიჟი.** ციმბერვალდისტების ორგანო ლენინის შესახებ სწერს: არც ერთი წესიერი მთავრობა არ მოისურვებს მოლაპარაკებას იმ კაცთან რომელიც უმრავლესობის სურვილების წინააღმდეგ მიდის.

### კაუცკი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ

„ლაიპციგის სახალხო გაზეთში" კაუცკი ეხება პროლეტარიატის დიქტატურას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ იგი სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც უმრავლესობის ბატონობა მტკიცედ დამყარებულად ჩაითვლება, როცა მის შემწეობით, უმცირესობა ემორჩილება უმრავლესობას.

ამისთვის ყოველნაირი მთავრობა უნდა ემორჩილებოდეს პარლამენტს, თუ გინდ რეაქციონურსაც, როგორც ახლა გერმანელთა რაიხსტაგი.

წინააღმდეგ დამოკიდებულება მთავრობისა და პარლამენტის შორის ჰღუპავს დემოკრატიას.

### გენ. კალედინის თვითმკვლელობა

როგორც გამოირკვა დონის სამხედრო მთავრობას, 29 იანვარს გადაუწყვეტია, რომ გაერთიანებულმა მთავრობამ ატამანის მეთაურობით მოიხსნას რწმუნებულობა და გადასცეს იგი ქალაქის თვითმმართველობას 4 თებერვლამდე, სანამ მოიწვევენ ყაზახთა მოსახლეობის ყრილობას. საერთო საქმის გამგეობა მიენდოს ადგილობრივ საოლქო კომიტეტს. ამ გადაწყვეტილების ნახევარ საათის შემდეგ გენერალ კალედინმა თავი მოიკლა. შემდეგ სტანიცების წარმომადგენელთა კრებაზე ატამანად ერთხმად აირჩიეს გენერალი ნაზაროვი. ნოვო-ჩერკასკის სტანიცამ გამოიყვანა 2.000 მებრძოლი. ოლგას გრუშევის აქსაისკის და გნილოვის ხელოსნები სასტიკ ბრძოლას უმართავენ ბოლშევიკებს. ნაზაროვმა გამოსცა შემდეგი ბრძანება: „გიბრძანებთ ყველას, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია, აღსდგეს დონის დასაცავად. ვაცხადებ საერთო მობილიზაციას".

### ჩერნოვის წერილი სპირიდონოვასთან

„დელო ნაროდაში" ჩერნოვი ღია წერილით მიმართავს სპირიდონოვას მშვიდობიან მანიფესტანტების დახვრეტის გამო. „თქვენ არ გინახავთ საავადმყოფო, სადაც მოჰქონდათ 5 იანვარს დახოცილთა გვამები. არ გინახიათ ციმბირის გლეხთა დეპუტატების თავის ქალა და მისი ქუდი მოსვრილი ტვინით. შეიარეთ და დასტკბით"-ო.

### პეტროგრადელი მეცნიერნი.

ბოლშევიკური გაზეთები გვაცნობებენ, რომ პეტროგრადელ მეცნიერთა შორის უკვე დაიწყო ანტიბოლშევიკური მიმდინარეობა.

## ლენინის სიტყვა

(წარმოთქმული საბჭოთა მესამე ყრილობაზე)

საბჭოების ყრილობის დახურვის დროს ლენინმა შემდეგი სიტყვით მიმართა ყრილობას: „მსოფლიო ისტორიაში ახალი ერა დაიწყო". ლენინი შეჩერდა ყრილობის მუშაობაზე და აღნიშნა, რომ მესამე ყრილობამ ახალი სახელმწიფოებრივი სოციალისტური წყობილება განამტკიცა რუსეთში. გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. ახალი წყობილება შედეგია მრავალ საუკუნეთა მუშაობისა, შედეგი ძველი მეფურ,—მემამულე—ბურჟუების პოლიტიკის დამსხვრევისა. შესაძლებელი გახდა ხელმწიფება გაგვეთავისუფლებინა ჩაქოლებული კლასის წარმომადგენელთა ხელიდან და გადაგვეცა ის მშრომელი ხალხისთვის, საბჭოს რესპუბლიკამ განახორციელა პრინციპი ერთა თავისუფლებისა, რომელზედაც ბურჟუაზია მხოლოდ ლაპარაკობდა, ხოლო მუდამ ატყუებდა, ის ერები, რომელნიც წინად რუსეთისაგან ჩამოშორებას ცდილობდნენ, ეხლა მასთან მჭიდრო კავშირს ჰკრავენ, მესამე ყრილობამ მიიღო კანონი მიწის შესახებ და ამით მჭიდროდ შეაკავშირებს მუშები და გლეხები. ეს კავშირი სძლევს ყოველგვარ სიძნელეს, რომელიც წინ ეღობება სოციალიზმის განხორციელებას და ვერავითარი ძალა ვერ დაამსხვრევს ამ კავშირს. ადგილობრივ საბჭოთა მუშაობის გაცხოველება, რათა ვიხსნათ ქვეყანა საერთო რღვევისაგან და ეს მუშაობა [illegible] კაცობრიობისათვის, რომელსაც ყოველივე საკვირველება თანამედროვე ტეხნიკისა ყველასი და თვითეულის კეთილდღეობას ემსახურება. მომდევარ ამბებმა დაგვარწმუნეს, რომ რუსეთი მარტო არ არის. კიევში ბურჟუაზიული რადა უკანასკნელ დღეებშია, [illegible] უკრაინა საუკეთესო მეგობარი იქნება რუსეთის, კალედინის ომი იყო დახმარების გაწევა მუშებისა და გლეხების ყაზახებისთვის, როგორც კი დაინახეს ყაზახებმა, თუ ვინ არის კალედინი ისინი იმ წამსვე აჯანყდნენ მის წინააღმდეგ. საბჭოთა [illegible] მშრომელთა [illegible] გამოვიდა დონის ოლქში. ფინლიანდიის მაგალითზე დაინახეს, რომ საბჭოები არ არის რუსეთის ჩამორჩენილობის თავისებურობა, არამედ ერთ-ერთი ფორმა მსოფლიო სოციალური რევოლუციისა. ფინლიანდიის მუშები მეტის ნდობით მოეკიდნენ რუსეთს მას შემდეგ, რაც აქ საბჭოს მთავრობა დამყარდა. საყურადღებოა, რომ სწორედ ეხლა დაიწყო ფინლანდიაში სოციალისტური რევოლუცია. სოციალურ მებრძოლისთვის მებრძოლთა რიცხვი იზრდება. ვერავითარი გარეშე ძალა ვერ იხსნის ფინლანდიის ბურჟუაზიას დაღუპვისაგან, რომ ჩვენი გზა მართალია, ამას დასავლეთ ევროპის ამბებიც ამტკიცებენ მეზობელ კულტურულ ქვეყნებშიც დაარსდა საბჭოების მთავრობა. სოციალური რევოლუცია ვითარდება. პირველი მახარობლები ამ მოძრაობის მარტონი იყვნენ. ლიბკნეხტის მოწოდებას მოჰყვა ფრიდრიხ ადლერის რევოლვერი. ასეთ, ცალკე პირების მოწოდება საყოველთაო არეულობად იქცა და ჩვენ მოწმენი ვართ რევოლუციის დასაწყისისა. ჩვენ ვიცით, რომ კაცობრიობა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე ვერ გადავა და საჭიროა გარდასავალი, ხანგრძლივი პროლეტარიატის დიქტატურისა, ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ რადგან რევოლუცია დაიწყო, ის გაიმარჯვებს და ბურჟუაზიის ბატონობა საუდამოდ დამსხვრეულია.

## უკანასკნელი დეპეშები

ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მოძრაობის უფროსი ბ-ნი ტრაჩენკო თებერვლის 4-ის თარიღით დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: სომხებთა და თათართა შორის ბრძოლა ეროვნულ ნიადაგზე სასტიკ ხასიათს ღებულობს. სადგურები უღუხანლუ და ნორაშენი თათრებისაგან გარშემორტყმულია სომხების გასაჟლეტად. სადგურების მოსამსახურეთა მდგომარეობა აუტანელია. მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს ხვალვე წავიდნენ. ეს თუ მოხდა, სადგური დაიხურება და უღუხანლუს სადგურის დახურვა გამოიწვევს მოძრაობის შეჩერებას ჯულფის ლიანდაგზე.

—

რკინის გზის აგენტი ბ-ნი ლიშჩენკო დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: სომხის ჯარებსა და თათრებს შორის 3 დღეა ბრძოლა სწარმოებს და ეს ბრძოლა სადგურ უღუხანლუს უახლოვდება. როგორც თათრები ამბობენ: უღუხანლუ ბრძოლის ველად გადაიქცევა.

—

უღუხანლუდან ბ-ნი ტრაჩენკო დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს თებერვლის 4-ის თარიღით: დღეს, საღამოს 7 საათზე, ადგილობრივმა თათრებმა დაიწყეს სადგურის დარბევა.

—

სად. სანდარიდან რკინის გზის აგენტი ბ-ნი ქუთათელაძე დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: თებერვლის 4-ს სად. ულუხანლუში მატარებელი № 651 ბრბომ გააჩერა გასაძარცვად. სროლა ასტყდა. 20 ჯარისკაციდან 3 დახვრიტეს და თოფები წაართვეს.

—

როგორც თბილისში ცნობა მოვიდა, ტრაპიზონი და რიზე ოსმალეთის ჯარებს დაუჭერიათ.

## ქართული ჰიმნი

ჰე ქართველო! ხელი ხმალსა!
აჰა, დროშაც ალისფერი.
მზე ითხოვს ბრძოლის ალსა,
განახლებას—ჩვენი ერი.
მოდით, ძმებო! ხსნისა დღეა
არ გაგვიხდეს სავალალო,—
უდარაჯოდ დარჩენილა
ბამბაკი და რკინის პალო.

—

ჰე ქართველო! ხელი ხმალსა,
ყველგან მტერი გვემუქრება,
ჯარი უნდა დარიალსა,
ახალციხეს გამაგრება;
ჯავახეთი ჩუმად სტირის,
მოწყვეტილი [illegible] ლორი,—
ნუთუ სული ქართველ გმირის
მკვდარია და მონაპარი?!

—

ჰე ქართველო! ხელი ხმალსა,
დღეს სისხლიც საჭიროა,
იცოდე, რომ ციდან თვალსა
არ გაშორებს თამარ-მეფე.
მოდით, ძმებო! დასაცველი
გვაქვს წინაპართ საფლავები:
ჩვენი მთები, ჩვენი ველი,
ჩვენი ცა და ვარსკვლავები.

№ 8.

## ქრონიკა

### თბილისი.

◆ დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, დანიშნულია შეერთებული სხდომა ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტისა და ეროვნულ საბჭოს ფრაქციისა.

◆ **ლექციები.** დღეს, სამშაბათს, გრ. ვეშაპელი და გერ. ქიქოძე ქუთაისში წაიკითხავენ ლექციებს შემდეგ თემაზე: ნაციონალ-დემოკრატიული პარტია და პოლიტიკური მომენტი. ლექციების შემდეგ გაიმართება კამათი. ესევე ლექციები შესდგება ხვალ და ზეგ, ფოთში და ბათუმში.

◆ **ეშელონების წასვლა.** სადგურ ალ-ტავლიაში (თბილისიდან 15 ვერსის დაშორებით) გაჩერებული 9 ეშელონი თებერვლის 4-ს ბალაჯარისკენ წავიდნენ მატარებლებით და სადგურ თაუზამდე უხიფათოდ მივიდნენ.

◆ **ბინის საკითხი.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა ნება მისცეს თბილისის ქალაქის საბჭოს, ეხლავე აირჩიოს 2 მომრიგებელი მოსამართლე, რომელთაც დაევალებათ ბინების გამქირავებელთა და მქირავებელთა შორის ატეხილი დავა.

◆ **სკოლა ცის ქვეშ.** სოფ. წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებელი ალ. გორგაძე ქალაქის სუსტ ბავშვებისათვის სოფ. წინამძღვრიანთ კარში აწყობს სკოლას ცის ქვეშ, რომლის მიზანი იქნება ფიზიკურად სუსტ ბავშვების გამოკეთება. მიიღებიან მხოლოდ ქართველი ბავშვები 8 წლიდან 15 წლამდე. მსურველებმა ცნობა უნდა [illegible] პირობებისათვის შემდეგ მისამართით: ст. Мцхетъ წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებელს პორუჩიკ ალ. გორგაძეს.

◆ **წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის** გამგეობა ამით აცხადებს, რომ თავისუფალია მასწავლებლის ადგილი საზოგადო საგნებისათვის (სასურველია ქალი მასწავლებელი) რომელსაც ექნება წელიწადში არა ნაკლებ 2,520 მ., ბინა, განათება და გათბობა. მსურველებმა მიმართონ ეროვნულ საბჭოს (სამგანათლებლო სექციას).

◆ **დუხობორების სახელმწიფო სამსახურიდან განთავისუფლება.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა განთავისუფლოს დუხობორები სამხედრო ბეგრისაგან თანახმად მათი რელიგიური შეხედულობისა.

◆ **ვალ. შალიკაშვილის** სამწერლო და სასცენო ასპარეზზე გამოსვლიდან 15 წლის შესრულების აღსანიშნავად იგი ქართულ კლუბში, თებერვლის 15-ს მართავს სადღესასწაულო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ერთ-ერთი მისივე პიესა.

◆ **შრომის ბირჟა.** ქალაქის ბირჟის მუშაობა 15—20 იანვრის განმავლობაში შემდეგში გამოიხატება: ბირჟაში შემოვიდა 1,364 უმუშევარი, ამათში იყო 615 მამაკაცი და 749 დედაკაცი. ბირჟაში ჩაეწერა 441 უმუშევარი; მათგან 261 მამაკაცია და 180 დედაკაცი. აღნიშნულ დროს განმავლობაში თბილისში მიიღეს სამუშაო 158 უმუშევარმა, თბილისს გარედ—5. ამათში ვერ იშოვა თავის პროფესიის შესაფერი ადგილი 65-მა. სამუშაო ხელზე მოთხოვნა აღნიშნულ დროში თბილისში იყო 169, თბილისს გარედ—5.

◆ **ქართველ ახალგაზრდობის ჯარში წასვლა.** ეროვნულ საბჭოს დეპეშით ატყობინებენ ქუთაისიდან: ქუთაისის მასწავლებელთა კავშირის საერთო კრებამ განიხილა ქუთაისის ყველა საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასების მოწაფეთა დადგენილება რევოლუციის კრიზისის გამო და სამშობლოს დასაცავად ქართულ ჯარში მოხალისეებად ჩაწერის შესახებ. კრებამ მოიწონა მოწაფეთა დადგენილება და გადასწყვიტა მოუწოდოს ყველა ინტელიგენტურ ძალებს მიჰბაძონ მოწაფეთა მაგალითს. ამ საქმის გაძღოლა დაევალა საგანგებო ინტერპარტიულ კომიტეტს.

### ქუთაისი

◆ **მილიცია.** ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოება ქალაქის თვითმმართველობას სთხოვს მილიციელთა რიცხვი გადიდებულ იქმნეს 500-დე. ამათში 50 ცხენოსანი მილიციელი უნდა იყოს. ქვეითი მილიციელს თვეში უნდა მიეცეს 200 მანეთი, ცხენოსანს, კი—300. მილიციის დასაკმაყოფილებელი ხარჯი უნდა გაწერილ იქნას მცხოვრებლებზე შემოსავლის კვალობაზე მილიციელები უნდა მიღებულ იქმნან სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და პარტიების თავდებობით და მილიციის უფროსის დასტურით. აგრეთვე უნდა გამოიცეს მოწოდება, რათა მილიციაში მოხალისეებიც ჩაეწერონ, ეს საკითხი ქალაქის საბჭოს კრებაზე გაირჩა. საბჭომ დაადგინა, რომ მილიციელთა რიცხვი გაადიდოს 200-დე და მილიციელებს ჯამაგირი მოუმატოს 200 მანეთამდის და მომატებული ჯამაგირები მისცენ 1 თებერვლიდან. ჯამაგირი მოუმატეს აგრეთვე მილიციის უფროსსაც. დღემდის მას ეძლეოდა 350 მანეთი, ამიერიდან კი დაუნიშნეს 400 მანეთი. სულ მილიციის ხარჯები წლის დამლევამდის უდრის 495,150 მანეთს.

## სასურსათო საქმეები

◆ **სასურსათო თანხის გადადება.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა, გადასდოს სასურსათო კომისრის განკარგულებაში 5 მილიონი მანეთი სურსათის შესაძენად ჩრდილო-კავკასიაში ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის.

◆ **შაქრის მონოპოლიის გაუქმება.** თებერვლის 3-ს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გააუქმა თავისი წინანდელი დადგენილება შაქრის მონოპოლიის შესახებ ამიერ-კავკასიაში და შაქარზე აქციზის დაწესების შესახებ.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **ერ. დემოკ. პარტ. 1 უბნის კომიტეტის** საზოგადო კრება დანიშნულია ქართული გიმნაზიის დარბაზში, დღეს, თებერვლის 6-ს, საღამოს 5 საათზე. კრებაზედ დამსწრეთ მოხსენდებათ თანამედროვე მომენტზე, [illegible] კონფერენციის საქმიანობაზე და სხვა. შემდეგ მოხდება უბნის კომიტეტის არჩევნები.

◆ **მათემატიკის მასწავლებელთა კრება.** კვირას, 11 თებერვალს დილის 10 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან არსებული სამათემატიკო სექცია იწვევს მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებელთა კრებას. ამ კრებაზედ განიხილავენ მათემატიკის და ფიზიკის ტერმინოლოგიას. კრებაზედ მოწვეულნი არიან ქართული ენის მცოდნენიც. სამათემატიკო სექცია სთხოვს მათემატიკის ყველა ქართველ მასწავლებელთ, და აგრეთვე დაინტერესებულ პირთ, დაესწრონ ამ კრებას და თავისი წვლილი შეიტანონ სამათემატიკო და ფიზიკის ტერმინოლოგიის შექმნაში. ამ კრებას წარედგინება რამოდენიმე სია ტერმინებისა.

## თავდასხმა მილიციონერებზე

თებერვლის 1-ის ღამეს 50 შეიარაღებული კაცი სომხურ პოლკის ჯარის კაცად გამოწყობილნი ორი ოფიცრის მეთაურობით თბილისის ქუჩებზე იარაღს ჰყრიდა მშვიდობიან მცხოვრებთ და მილიციონერებს, სადაც კი მოასწრებდნენ. ამ რაზმის 4—5 კაცმა პირველ კომისარიატის რაიონში იარაღი წაართვეს რამდენიმე მცხოვრებს და ერთ წითელ გვარდიელ მაჰმადიანს. ერთი ამ ბოროტ-მოქმედთაგანი მილიციონერებმა დაატყვევეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ხსენებულ ბრბოს 10 კაცმა იარაღი აჰყარა მე 2 კომისარიატის 5 მილიციონერს. ცოტა ქვეით მცირე ხნის შემდეგ იმავე რაზმის უკვე 20 კაცმა იარაღი აჰყარა კიდევ 3 მილიციონერს. ხსენებული რაზმი გაძლიერებული, 50 კაცამდე ბარიათინსკის ქუჩით და ხიდზე მიხეილის პროსპექტით სომხეთა პოლკის ყაზარმისაკენ (ელისაბედის ქუჩაზე) გამართულა. გზა და გზა ვინც შეხვდებოდათ, მილიციონერი თუ მცხოვრები ყველას ართმევდნენ იარაღს; იარაღაყრილთ უვნებლად უშვებდნენ. მიხეილის პროსპექტზე [illegible] ბოროტ მოქმედთ ფურნეებთან პურის რიგში მდგომთა სიტყვით, თითოს 2—3 ვინტოვკა და რევოლვერები სჭერიათ ხელში.

მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედნი არხეინად მიემართებოდნენ ქუჩებით და სრულიად აუჩქარებლად მოქმედებდნენ მათ წინააღმდეგ შესაფერი ზომები ვერ იქნა მიღებული. თუმცა თითქმის ყველა კომისარიატიდან საჩქაროდ გამოიწვიეს მილიციონერები და პირველ კომისარიატიდან გაგზავნილი იყო ვერის ხიდით მიხეილის პროსპექტზე ბოროტ მოქმედთა გზის მოსაჭრელად, მილიციონერთა რაზმი, მაგრამ მათი დაჭერა მაინც ვერ მოახერხეს, რადგანაც მათი გამოსვლა მოულოდნელი იყო.

## ბაიბურთის დაჭერა ოსმალეთის მიერ

არზრუმიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან: ლაშქრის სარდალმა არზრუმის ოლქის კომისარს უთხრა, არზრუმი და [illegible] ჯერ არ დაუჭერიათ ოსმალებს, მაგრამ სულ მოკლე ხანში კი მოსალოდნელიაო. ამის შემდეგ მოვიდა სარწმუნო ცნობა, რომ ბაიბურთი უკვე დაჭერილი ოსმალების რეგულიარ ჯარებს.

## სამშვიდობო მოლაპარაკება ოსმალეთთან

ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ეგ. გეგეჭკორმა თებერვლის 5-ს დეპეშა გაუგზავნა არზრუმში კავკასიის მხედართ უფროსს გენერალ ოდიშელიძეს და სთხოვა შემდეგი აცნობოს ოსმალეთის მხედართ-მთავარს ვახიბ-ფაშას:

ბ-ნო გენერალო! ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით გაცნობებთ თქვენ, რომ საპატიო მიზეზთა გამო ამიერ-კავკასიის მთავრობა 3 კვირის შემდეგ გაუწყებთ თავის გადაწყვეტილებას სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებო. ამ ჟამად ამიერ-კავკასიის მთავრობა მზად არის მოლაპარაკება დაიწყოს. ძირითად პირობებს ზავის შესახებ შეიმუშავებს ამიერ-კავკასიის სეიმი, რომელიც შეიკრიბება თბილისში თებერვლის 10-ს. გთხოვთ, დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ, ვინ შევა ოსმალეთის მთავრობის მხრივ სამშვიდობო დელეგაციაში წევრებად და თქვენს მთავრობას სად ჰსურს და როდის სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება.

ჩვენი მხრივ დელეგაციის შემადგენლობას ამ დღეებში გაცნობებთ.

## გერმანელი პოლკი საქართველოში

ამიერ-კავკასიის ეროვნებათაშორისო სამხედრო საბჭოს დადგენილების თანახმად, სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარმა ნება დართო რუსეთის მოქალაქე გერმანელებს შეადგინონ თავიანთი პოლკი ქართულ კორპუსთან შემდეგ საფუძველზე:

1. სალაშქრო დაწესებულებებში და ფრონტზე მყოფი რუსეთის მოქალაქე გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები დაუყოვნებლივ იგზავნებიან ქართულ კორპუსის შტაბის განკარგულებაში.
2. ქართულ კორპუსის შტაბი ხსენებულ პირთაგან და აგრეთვე მსურველ გერმანელ მოხალისეთაგან ადგენს გერმანულ პოლკს ქართულ კორპუსთან, მთავარსარდლის მიერ № 292-ით 1915 წ. გამოცემულ ბრძანებაში აღნიშნულ შტატით.
3. გერმანულ პოლკის შესავსებათ ალექსანდერდორფში უნდა შესდგეს გერმანელების სათადარიგო როტა.
4. პოლკის შტაბის შესადგენ პუნქტებად დანიშნული ალექსანდერდორფის ახალშენი. პოლკი იდგება ელისავეტპოლის გუბერნიის ელისავეტპოლისა და თბილისის გუბერნიის ბორჩალოსა და თბილისის მაზრების იმ ადგილებში სადაც გერმანელები მოსახლეობენ.

კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის მოადგილე გენერალ-მაიორი ლებედინსკი.

## ამიერ-კავკასიის რუსების შეკავშირება

ამიერ-კავკასიის რუსთა საზოგადოებების საბჭომ იანვრის 29-ს გამოსცა საკუთარი ორგანო „უწყება", რომელშიც სხვათა შორის მოუწოდებს ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ რუსებს:

„ამიერ კავკასიის რუს მცხოვრებლებს საშინელ ტანჯვა-ვაებას აყენებენ ყაჩაღები. შეიარაღებული [illegible] წმინდად აოხრებენ [illegible] და შესაძლოა მალე არც ერთ მათგანს აღარ დაარჩენენ. წამსვლელ ჯარმა ჩვენ მთლიად უმწეოდ დაგვტოვა. ჩვენ აქ უმწეონი და მარტონი დავრჩით.

ცოტა რამ კი არ გაუკეთებია რუსეთს და რუსის ერს კავკასიისა და ამიერ-კავკასიისათვის ცოტა ძალა და საშუალება კი არ გადაუხდია რუსეთს ამ მხრის აღსადგენად. ტყუილად ხომ არ იხარჯებოდა ეს ძალა და საშუალებანი კავკასია რუსეთს სჭირდება, და რუსეთი კი კავკასიას. ამიტომ ამიერ-კავკასიაში მყოფ რუს მცხოვრებთა მოვალეობაა ვიყვნეთ შემაკავშირებელ ძალად სხვა და სხვა თუნდაც მტრულად განწყობილ ერებისა. ესაა ჩვენი დანიშნულება ამით ვემსახურებით აქაურ ერებსაც, მთელ სახელმწიფოსაც და ჩვენს ერსაც.

ჩვენ აქ უნდა დავიცვათ რუსეთის განაპირა მხარე და ჩვენი პოსტი არ უნდა დავტოვოთ. რუსეთი ჯერ კიდევ არ გამხდარა მარტო გეოგრაფიულ სახელწოდებად. იგი თვით თავის უძლურებაშიც ძლიერია ჯერ კიდევ ადრეა მის დამარხვა და ქელეხის გადახდა. მას ჯერ კიდევ შეუძლიან წამოიწიოს. განა პირველი მის მიერ ასეთი ხანის განცდა. უნდა შევკრიბოთ ჩვენი გაფანტული ერი. უნდა დავიცვათ იგი დაღუპვა-აოხრებისაგან, უნდა დავიცვათ შეურაცხყოფისაგან".

## შაქრის მონოპოლიის გაუქმება

ამიერ კავკასიის ქალაქის თვითმართველობანი სთხოვენ ამიერ კავკასიის კომისარიატს, რომ გაუქმებულ იქმნას შაქრის მონოპოლია, რადგან მცხოვრებლებს იგი მძიმე ტვირთად აწვებათ.

ამიერ კავკასიის სააქციზო გამგეობა ამ საკითხის შესახებ ერთ მეტად მნიშვნელოვან პასუხს იძლევა: საქმე იმაშია, რომ ამიერ კავკასიაში შაქრის ქარხნები არა გვაქვს, ჩვენ შაქარი რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მოგვაქვს. რუსეთში კი 1917 წლის გიორგობისთვის პირველიდანვე შემოიღეს შაქრის მონოპოლია. ეს იმას ნიშნავს, რომ გიორგობისთვის პირველიდან ყველა ქარხნებში დამუშავებული შაქარი ეძლევა ხაზინას. ხაზინა კი უშვებს დადგენილ მტკიცე ფასებში. ამ გზით სახელმწიფო ხაზინას ყოველ წლივ რამდენიმე ასი მილიონი შემოსავალი უნდა ჰქონდეს. ამიერ კავკასიისათვის დანიშნულ შაქარს რუსეთის სააქციზო მართველობანი ამიერ კავკასიის სააქციზო მმართველობის სახელზე გზავნიან. სააქციზო მმართველობა კი ურიგებს ამიერ კავკასიის სასურსათო ორგანიზაციებს და აძლევინებს იმ ფასს რა ფასიცაა დანიშნული, საერთო რუსეთის მთავრობის მიერ. მთელ შაქრის ფასი ვალად ეწერება ამიერ კავკასიის სააქციზო მმართველობას. ამ მმართველობამ შაქრის სასურსათო ორგანიზაციებში გაყიდვის შემდეგ ხსენებული ვალი უნდა გადიხადოს. თუ ამიერ კავკასიის კომისარიატი გააუქმებს შაქრის მონოპოლიას ამიერ კავკასიის საზღვრებში და შაქარს დაბალ ფასებში გაჰყიდის—მაშინ ამიერ კავკასიის სააქციზო მმართველობა ვერ შესძლებს ვალის გადახდას და სახელმწიფო ხაზინაც არ მიიღებს იმ შემოსავალს, რის იმედიც ჰქონდა. ასეთი შედეგი კი ამიერ კავკასიისათვის არ იქნება სასარგებლო. ეხლა შაქარს ნისიად გვიგზავნიან. და თუ ამიერ კავკასიის საზოგადო ორგანიზაციები უარს შეუთვლიან სახელმწიფოს და იმ ფასს არ გადიხდიან, რა ფასადაც შიგ რუსეთში იყიდება—მაშინ რუსეთი შაქარს სრულებით აღარ მოგვაწვდის. მაშინ ამიერ კავკასიის სასურსათო ორგანიზაციებმა უნდა იყიდონ შაქარი ისევ იმ მაღალ ფასებში რა ფასსაც იხდიდნენ მონოპოლიის დროს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინად თუ ფულს შაქრის გასყიდვის შემდეგ იხდიდნენ, ახლა კი ადრევე, შეკვეთის დროს უნდა გადიხადონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასურსათო ორგანიზაციებს შაქარი ძველებურზე მეტად დაუჯდებათ. რადგან შაქრისთვის მათ სათანადო თანხა არ მოეპოვებათ და ამიტომ მას სესხად ეძებენ და სესხს ხომ უპროცენტოდ არ მისცემენ? ამიერ კავკასიას თვეურად შაქრისთვის სულ ცოტა 11 მილიონი მანეთი დასჭირდება, თუნდაც რომ გადმოტანა არ ვიანგარიშოთ. ასეთ მდგომარეობაში სააქციზო მმართველობა და რა [illegible] უნდა მოეპოვებოდეს ამიერ კავკასიის კომისარიატს შაქრის მონოპოლიის გაუქმებისათვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განჯის თათარ გლეხთა მოძრაობა

აგრარული მოძრაობა განჯაში იანვრიდან დაიწყო. მოძრაობამ იმსხვერპლა ადგილობრივი მოსახლეობა, დაიწვა მამულები, დაჰხოცეს თითქმის ყველა ბეგები და ხანები ცოლშვილით, ხოლო მათი მამულები გლეხებმა ჩაიგდეს ხელში. როგორც მტკიცდება სარწმუნო წყაროებიდან, დაზარალებულან შემდეგი მემამულენი:

1) იანვრის 4-ს, გლეხები თავს დაესხნენ შემამულე ბარჰამ-ბეგ ყარაბეგოვს, სოფ. იუზარაიპლოში (ძეგამის სადგურის ახლო), მოჰკლეს თვითონ ბაჰრამ-ბეგი, და მისი ორი ძმა—კარგამენ-ბეგი და ჰასან ბეგი.

2) 6 იანვარს თავს დაესხნენ ბეიუჯალა ყარამბეგოვს. მოჰკლეს თვითონ ბეიუჯალა, ქალი და ხუთი ვაჟი: აფიცერი-მოხალისე ჰაშიმ-ბეგი, ჯიბრაინი ბეგი, ხანი, ნადირ-ბეგი და მუხრატ-ბეგი.

3) იმავე დღისით თავს დაესხნენ ჰაიმედ-ბეგ ზიადხანოვს სადგ. კაიალარის ახლოს. მოჰკლეს თვითონ ჰამიდ-ბეგი, მისი ცოლი და 6 ქალიშვილი. ერთი მისი ქალიშვილი და ვაჟი ტყვედ წაიყვანეს და ახლა იმყოფებიან მამად-ყაჯირ-იბადულოვთან.

4) იმავე 6 იანვარს, თავის მამულში მოჰკლეს სადუნ-ბეგ ზიადხანოვი, მისი 4 შვილი ათამდე ქალები ბავშვები და სხ.

5) მეტად-მხეცურად მოუკლავთ ზიადხანოვთა წარმომადგენელი—ალიარ-ბეგი. მის გვერდა მოჰკლეს მისი ცოლი სეიდ ნისაჰუმი, შვილი მამედ-ბეგი და ქალი ფარხატი. მისი გიმნაზიელი ვაჟი ძანზაფარი დაჭრილია და თავის ძმა არონთან ერთად მიეყვანიათ სომხის სოფელში.

6) ხანგრძლივ წინააღმდეგობის შემდეგ თავის მამულში მოჰკლეს ალიარბეგის ძმა მეჰრალ-ბეგი. მოკლულია მისი შვილი და მისი ერთი ძმა. ალიარ-ბეგის შვილი, სამი ვაჟიშვილით, ოჯახის დანარჩენი წევრები ზოგი დაატყვევეს, ზოგი გაიქცნენ.

7) იმავე რაიონში დაარბიეს ეგრედ წოდებული „ხურდა ბეგები“. 30 ოჯახი, ახლაც იმალება სომხის სოფელ ბადაკენდში.

8) 4 იანვარს შავი დღე გაუთენეს შამქორის ბეგებს. 30-მდე ბეგმა დასტოვა მამული და ივლტოდა.

9) თბილისიდან მოსულმა შეიხ-ულისლამმა თავი შეაფარა მოჰრიდის ბეგებს. გლეხებმა ნება მისცეს თავისი უძრავი ქონება ფურგუნებით წაეღო. ამ თავდასხმისას, გლეხები ისაკუთრებდნენ მათ მიწებს, ცხენის ჯოგებს, საქონელს, დანარჩენს კი ჰსწვავდნენ და ანადგურებდნენ.

ყაზახის მაზრაში თავს დასხმიან ბეგებს იანვრის 15-ს მაგრამ აგრარული მოძრაობა არა ყოფილა აქ ისეთი შემაძრწუნებელი. გლეხები იმითაც კმაყოფილდებოდნენ, რომ მიეთვისებინათ ბეგების წილები. ზემოხსენებულ რაიონში შემდეგი ბეგები დაზიანდნენ.

10) ოჯახლინის ბეგი მამედ ალა და ისკანდერ-ბეგი გაიქცნენ.

11) ოზანლუნის ბეგები ყიოზიმ-ალა, აბდულ-ალა, თეიმურ-ბეგი, ახვერდ-ბეგი, ხანნიმი-ბეგი, სულთანოვები სოფ. ქეშში გაიხიზნენ.

12) ჯილულხუნის ბეგები იბრაჰიმ-ალა, რუსტამ-ბეგი და ნადირ-ბეგი სულთანოვები, გაიქცნენ იმავე სოფელ ქეშში და ქონების ნაწილი გადაარჩინეს.

13) დაზარალდა: ბეჰბუდალის ბეგები მამედ-ალი ბეგი ისკანდერბეგოვი.

14) სომხის სოფელ ქეშლაში ამ ჟამად გახიზნულა 30 ბეგის ოჯახი, მათ შორის ჯაგაშის ბეგი სარიმბეგ-ყარაბეგოვი.

თბილისში გაიქცნენ ოქიუზლინის ბეგები სულთანოვები.

უკანასკნელ ცნობებით, აგრარული მოძრაობა არეშის მაზრაშიც დაიწყობილა. თითქმის ყველგან, მაჰმადიანი გლეხები აოხრების მიზეზად ამბობდნენ:

1) რუსის ჯარის წასვლის შემდეგ ოსმალები შემოვლენ; მაშინ ბეგები უფრო გაძლიერდებიან და ჩვენი ცხოვრებაც გაძნელდება.

2) არჩევნებისას, ჩვენმა ბეგებმა მოგვატყუეს: იმის ნაცვლად, რომ ხმა მიგვეცა № 11-ისთვის, მათ ძალით მიგვაცემინეს ხმა № 12-ისთვის, რომ ნიკოლოზი ისევ ტახტზე აეყვანათ. № 11—არის მაჰმადიან ს. დ. „ჰუმეტის“ სია, № 12—სია ეგრედ წოდებულ მაჰმადიანთა „სოციალ ბლოკის“, ე. ი. ბეგების, ხანების და სხვ.

## განჯის მსხვილი მემამულეები

ზიადხანოვებს ჰქონიათ—56 ათასი დესეტინა.

შამქორის ბეგებს 20 ათასი დესეტინა მამული.

ადიგეზალოვებს 20 ათასამდე.

შახმალოვებს 70 ათასი დესეტინა.

თაგიევებს 20 ათასი დესეტინა.

ფათხოვებს 10 ათასი დესეტინა.

ქოლამეგოვებს 15 ათასი დესეტ.

ფაცეიევებს 20 ათასი.

შემდეგ წვრილ ბეგებს: ვეზიროვებს, ჰასმამედოვებს, ხონ-ხოისკებს— ზოგს 5 ათასი დეს. ზოგს 3 ათასი დესეტინა და სხ.

**სომეხ მემამულეებს** როგორც: მირზოევებს, იუზბაშევებს, არაფელოვებს, მანთაშევებს, არამიანცებს და სხვ. ჰქონიათ 20 ათასი დესეტინა მამული.

## ქართველ ბეითლების ყრილობის გამო

ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამოძრავდა ყოველივე სპეციალობა. ყველა და ყოველგან აარსებენ სექციებს, რომლებიც ასე თუ ისე შეუდგნენ თავიანთ დარგში მუშაობის და სპეციალობის მოწესრიგებას. ჩვენ ქართველი ბეითლები ამ მხრივ ჩამორჩენილნი ვართ. დრო კი არ ითმენს მოცდას, რადგან დღეს ის სპეციალური დარგები, რომლებიც შეუდგნენ მუშაობას და უნებურად იწვევენ საბეითლო ნაწილიდგან წარმომადგენელს, საბეითლო სექციის უქონლობის გამო მიმართავენ ნაცნობ პირებს და ეს შემთხვევით შემოსული პირები ესწრებიან ამა თუ იმ სექციებში.

ასეთი მდგომარეობა მეტად სამწუხაროა ჩვენი ქართველ ბეითლებისთვის. მიზეზი,—ჩვენი უმოქმედობა და ჩვენ თვითონ ვართ [illegible]. საჩქაროდ საჭიროა მოწვეულ იქმნას კრება ქართველ ბეითლების ქ. თბილისში, რომელიც გაითვალისწინებს ჩვენი დარგის იმ მდგომარეობას, რომელშიაც ჩავარდა საქონლის ექიმი. ეს კრება აირჩევს და იყოლიებს მეთაურ სექციას, ერთგულ საბჭოსთან; გამოსცემს დირექტივებს, თუ რა უნდა გააკეთოს და როგორ მოწესრიგდეს საბეითლო ნაწილი საქართველოში, რომელსაც თუ უმთავრესათ არა, უმცირესი როლი ეკუთვნის ქართველ ხალხის ცხოვრების მოწესრიგებაში.

ვთხოვ ქართველ ბეითლებს შეუწყონ ხელი საჩქაროდ საერთო ბეითლების კრების მოწვევას.

სამხედრო ბეითალი

ივ. ქუთათელაძე

## ილიასეულ მამულების გაყიდვის შესახებ

უცხო მხარეში ქართულმა გაზეთებმა ფრიად არა სასიამოვნო ამბავი გვამცნეს: ქ. შ. წ. კ. საზ. გამგეობამ დაადგინა სთხოვოს საზოგადო კრებას ნება დართოს მას ილიასეულ მამულების გაყიდვისა.

საშუალება არა მქონდა სიშორისა და ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო დავსწრებოდი საზოგადოების კრებებს. ამიტომ არ შემიძლიან გავარკვიო და პრესის საშუალებით არ გავუზიარო საზოგადოებას აზრები საკითხის გასაშუქებლად.

ილია ჭავჭავაძის ცოლს, საგურამოს მებატონის თადეოზ გურამიშვილის ასულ ოლღას, მზითვად მოჰყვა ის, ამ ჟამად ყველა აღებული 286 დესეტინა მამული, რომლის გაყიდვასაც ლამობს ეხლა ჩვენი წ. კ. ს. გამგეობა.

ამ მამულში დასახლდა ილია და აგო სასახლე, რომელიც 20 ათას მანეთად დაუჯდა. ილიას მეუღლე ოლღას, გარდა ამ საკუთარ სამზითვო მამულისა, ჰქონდა აგრეთვე სხვა მამულებიც ზომით თითქმის 950 დესეტინამდე.

საგურამოში თვით თადეოზ გურამიშვილს ჰყოლია მანაწილეები, რომელთაც უმთავრესად თავიანთი ნაწილი მამულები თითქმის სულ სომხებზე ჰქონიათ დაგირავებული და გაყიდული. ილიას ეს არ მოსწონდა და ბევრს ურჩევდა და უჩიჩინებდა ადგილობრივ გლეხობას, როგორც საკუთრების არა მქონეს, გამოეყიდნა სომხებისაგან ეს მამულები, მაგრამ, მიუხედავად ილიას დიდ მეცადინეობისა, გლეხობას ვერ მოუხერხებია. მხოლოდ ამის შემდეგ ილიამ თვითონ გამოისყიდა სულ 11 ნაჭერი მამული 600 დესეტინაზე მეტი. ამით ილიამ ისევ გააერთიანა ქართველების მიწათმფლობელობა ამ აგარაკში. ილიამ ეს საკუთრად შეძენილი მამული უანდერძა თავისსავე ნაამაგდარ ქ. შ. წ. კით. გამავრცელ. საზოგადოებას, რომელმაც ილიას მოკვლის შემდეგვე ახლო ხანებში მიჰყიდა გურამიანთკარელ 40 კომლიან გლეხთა ამხანაგობას დესეტინა 25 მანეთად და თან გაჰყიდა უფასოდ ილიას აშენებული არაგვზე ორსართულიანი ქვითკირის ჩარხის წისქვილი, რომელიც 8000 მანეთამდე დასჯდომია და რომელსაც შემოჰქონებია წლიწადში 1400 მანეთამდე იჯარა შემოსავალი. ასე რომ საზოგადოებამ თითქმის აჩუქა ამ გლეხებს ეს მამული, მაგრამ უმადური ხალხი დღესაც არ აფასებს საზოგადოების ამ ხელის შეწყობას. როგორც შემდეგში გავიგეთ, თვით ოლღამაც, თავისი ძვირფასი მეუღლის მიხედვით, თავისი საკუთარი სამზითვო მამული სასახლით და აგრეთვე თავის საიჯარო სამკვიდრო მამული დაუტოვა ამავე წ. კ. გამ. საზოგადოებას, რომელიც საზოგადოებამ გადმოიტანა ბანკიდგან თავისი ვალებით, რაიცა მოხდა მგონია 1908 წ. მკათათვეში. საზოგადოებამ ეს მამულიც მაშინვე გასასყიდად გაწირა და პირველი დროიდანვე შეუდგა მოძრავი ქონების ყიდვა ლიკვიდაციას, რომელსაც აწარმოებდნენ ჯერ ბანკის წარმომადგენელი და შემდეგ საზოგადოების პირველი გამგე პატივცემული ლ. ცაგარელი, რომელიც ოთხი თვის შემდეგ თავისდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, იძულებული იყო თავი დაენებებინა სამსახურისათვის და მის შემდეგ მამულების გამგეთ ჰქონდა დანიშნული ქ. ტყეშელაძე, მაგრამ რაკი ეს რაღაცა მიზეზების გამო არ მოხერხდა, ლადო ცაგარელისავე რჩევით დამნიშნეს მე. მეც, მიუხედავად მცირე სასყიდლისა, ამხანაგების თხოვნა-რჩევით ვიკისრე მამულების გამგეობა.

იმავე წლის 15 გიორგობისთვეს ჩავიბარე ცაგარელისაგან მამულები და ვერ ვუერთდები ცნობილ წერა-კ. გ. საზოგადოების და ქართულ სამეურნეო საზოგადოების სპეციალურ კომისიების განცხადებას, რომ იგინი [illegible] მამულები გაოხრებულა, უკან და უკან მიდისო, რასაც გამგეობა ჩაუგდია ისეთ სასოწარკვეთილებაში, რომ მას დაუნახავს ხსნა მხოლოდ გაყიდვაში. მაგრამ მოვიგონოთ ის, რომ გამგეობა თავისთავაც გასყიდვის მომხრე იყო, თუმცა მაშინ არც ერთ კომისიას არ დაუთვალიერებია და არ გაუცვნიათ, რა მდგომარეობაში იყო და მხოლოდ ეხლა, თითქმის 7 წლის შემდეგ, გარჯილან მის დათვალიერებას და დარწმუნებული ვარ ესეც ვისმე მოთხოვნა-ძალდატანებით ან მაიძულებელი გარემოებით. მამულები თუ გაოხრებულა, მაშ წინად ამაზე გარე მდგომარეობაში ყოფილა და მაშასადამე გაოხრების ბრალი ედებათ იმ მამულებში ძველსა და ახალ მმართველთ და მოიჯარადრეებს, რომელთაც გამგეობა თავის მოხსენებაში, გაზეთის ცნობებით, მათ ჰყოფს სინდისიერთა და უსინდისოთა კატეგორიებად. მაშასადამე მეც, როგორც ყოფილი გამგე ამ მამულებისა და აგრეთვე ცოტა ხნის მოიჯარადრე საბაკუნო ნაწილისა, და ჩემთან ერთად სხვა გამგე მოიჯარადრენი ძველიც და ახლებიც ეჭვში უნდა შევიდოდეთ, თუ რომელი ჩვენგანი რომელ კატეგორიაში ვყავდით და ზნეობრივადაც ვალდებულნი ვართ მამულების გაოხრებაში პასუხი ვაგოთ და დამნაშავეებად მაინც ვაღიაროთ თავი მთელი საზოგადოების წინაშე. გამგეობის წარმომადგენელმა ალ. ყიფშიძემ დამინიშნა მე და [illegible] პირველად იგივე სალიკვიდაციო მანდატი. მამულსაც მყიდველი უშოვეთო.

კომისიების დასკვნის საილუსტრაციოდ, საჭიროდ ვთვლი საზოგადოებას მოკლედ მაინც დაუხატო სურათი, თუ რა მდგომარეობაში მივიღე მე ეს მამულები.

ცაგარელთან ერთად სოფელ ნატახტრიდგან გავიარეთ სოფ. გურამიანთ კარზე და შევუდექით ორღობის გზით სასახლისაკენ. ორღობე, რომელსაც თითქმის ერთი ვერსი აქვს სიგრძე, ნახევარი შეუღობავი, ნახევარიც ძველი მიწყვნილ-მიწყვნილი ღობით. შევედით ზვარში, ვაზები ფილოქსერა მოდებული, ბარბაროსული სისტემით ნასხლავ ნამუშევარი, ერთ ზვარში შუადაშუა დატოვებული ძველი ცხრა რიგი ღობეები, ძეძვ-ბარდებით დაბურულ გაჯგუფული. ვენახში ნიადაგი და მისი ზედა პირი უფრო მოგაგონებდა რიყეს, ვიდრე დამუშავებულ ვენახს, გადავხედე ვეებერთელა ხილის ბაღს, მაგრამ ეს უფრო წარმოადგენდა ცეცხლისაგან გადაბუგულს და გამხმარ ტყეს, ქერქ გამხმარი გაკრეჭილი, ტოტები ჩამტვრეული, ჩამოწყვეტილ-ჩამოტეხილი, ფუღუროდ გამხმარი, შეხმარ შემხმარი ნაყოფი ვაშლი, მსხალი, მუხა, კაკალი, ძეძვი, ატამი, კვრინჩხი, ქლიავი, თუთა, ბალ-ალუბალი, ჭანჭური, მაყვალი, წიფელი, მანეული, ნამყენი, უჯიში, ერთი ერთმანეთში უსისტემოდ და უწესოდ არეულ აღრევილი და ტოტებ ჩამოლეწილი, გარეშემო ღობე შემოვლებული და გაპარტახებული. შუა აღმართის სასახლისაკენ ვენახის გვერდით შედიოდა ძეძვიანი გზა, რომელიც ერთ მხრივ იყო ზემოთ ნახსენები გაოხრებული, გაფუჭებული ბაღი, გარეველებული ვენახი, მეორეს მხრივ ტყიანი ხევი. ზევით მოსჩანდა კალთა სამი ძველი სახლი. ბაკებით და სამი ბოსელ-გომურ-საჯინიბოებით, რომლებიც ამჟამის სულ ცარიელები იყო და ძვირფასი მუხის მასალა ნაწვიმების სტიქიონის გავლენით ლპებოდა და იღუპებოდა. მოვბრუნდით მხარ-მარცხნივ. ძალიან დიდებული სამ სართულიანი ქვითკირის სასახლე, ისე იყო სხვა და სხვა გამოსაყვანი და გამოუსადეგარ ხეებით შემოფარგლულ-შემოზღუდული. სასახლის ზევითა მხარეს შემოტანილი ძველი [illegible] დიანი ადგილი, სადაც გაფანტული იდგა სამოცამდე ძველი სხვა და სხვა სისტემის სკები. ამავე შემოფარგლულში იდგა ვეებერთელა წნული საბძელი, სადაც შეყრილი იყო თითქმის ყოველგვარი სამეურნეო მანქანა-იარაღები, მათ შორის ძალიან ძვირფასებიც, მხოლოდ ყველა ესენი მუშაობის პირველსა და მეორე დღესვე მუშათაგან ყასიდად მიმტვრეულ მიღებულები და იმ დროიდგან მიგდებულები. კარ-მიდამოს ერთ მხარეს ჩამწკრივებული იყო ძველი წნულის გაგლეჯილი საქათმე, ძველისავე ხის ოთახი და რამდენიმე დიდი და პატარა ფიცრული ცარიელი ბეღლები. ძირს ქვითკირის შენობა მოსამსახურეებისათვის, საიდგანაც [illegible] ძაღლის ყეფაზედ თავი გამოყო ერთმა ახალგაზდა გლეხის ბიჭმა და მასთან გამოჰყვა ხანში შესული დედაკაცი—დედა მისი. ბიჭმა გაგვიღო სასახლის კარი და შევედით პირველ ოთახში, სადაც დაგვიხვდა მეფუტკრე ბ. მასლოვი. ციოდა და ბუხარი გამომქრალი იყო. ცაგარელმა ცეცხლის დანთება რომ მოსთხოვა ბიჭს, ბიჭმა ბუზღუნით უპასუხა: აღარ შემიძლიან ტყიდგან მხრებით შეშის ზიდვაო. თქვა დალოცვილებო, ერთ უღელ ხარს და ურემს მაინც დასტოვებდით, რომ ტყიდგან შეშა ჩამოგვეტანა და წისქვილში საფქვავი წაგვეღო—წამოგვეღოო; ეს იმიტომ გავიხსენე, რომ იმ დროს უკვე აღარა იყო რა დარჩენილი გასასყიდად. ცხვარი, ღორი, საქონელი, ცხენები და გამოსადეგი ავეჯი და იარაღი. შემდეგ გავედით სასადილო ოთახში, სადაც ოც თუმნიან კაკლის ბუფეტის გვერდით იდგა პატივით გადლესილი გოდრები, ძველი ტომრები, ნიჩაბ ორთითი, ჰილობები და სხვა. ავედით მესამე სართულში, სადაც ყოფილა ილიას კაბინეტი, რომელიც დაბეჭდილი იყო, გავხსენით და რა ვნახეთ: ერთი ყუთი ილიას ძველი საცვლებით, სტოლი, რამდენიმე სკამი, იატაკზე ეყარა ჯამები, ლეიბები, ბაფურები, კუთხეში წიგნები და სხვა ამ ოთახის პირდაპირ დავინახეთ კარებ გამოტეხილი ოლღას ოთახი, შიგ დამტვრეული ავეჯით. კარები გამოუმტვრევია, ილიას ყოფილ ერთგულ მოურავს, ბ. ჯაშს, რომელიც, როგორც შემდეგ გადმოსცეს ყოფილმა მოსამსახურეებმა, ვიდრე მოასვენებდნენ მოკლულ ილიას და დაჭრილ მის მეუღლე ოლღას, წინად მოვარდნილა ცხენით და ღამით დაუმტვრევია დაკეტილი კარები, ოლღას ოთახისა და შემდეგ სტოლის უჯრები რომ დაელაგებინა და შეეკრიბნა შესანახად ფასიანი ნივთები, და ლოგინი, რადგან, როგორც მას უთქვამს მაშინ მოსამსახურეებისთვის, რაკი მიცვალებულს ილიას და დაჭრილ ოლღას მოასვენებენ, სასახლეში ბევრი ხალხი აირევაო და რამე დაიკარგებაო და ამგვარი თავდაჯერებით მრავალი რამ შეკრული ბოხჩებით თავის ერთგულ ნაცნობ მეგობრების სახლებში დაუგზავნია.

გადავხედე ახლა სასახლის წინ ბაღჩაში და აქაც ისევ ქაოსი, ნარისა და ნაგვის გორები ფანჯრებს აწვდება, ხეხილი დაავადმყოფებული, შიგ გაბარდული ჯაგი, კუნელი, ეკალი, ტყის ხეები, რაღაც საზარელ სურათს წარმოადგენდა. თუ ყველა ამას დაუმატებთ წყაროს დამტვრეულ მილებს ტყეში და დანგრეულ აუზებს და ღობეებს და შეუდარებთ იმ სურათებს მამულისას, რა სახითაც და მდგომარეობაშიც დავტოვე მე იგი ამ ხუთი წლის წინეთ, თამამად და გულწრფელად შემიძლიან ვთქვა და დავამტკიცო, რომ მამული ჩემი გამგეობისა და შემდეგ ჩემის დროის მოიჯარადრე [illegible] ხელში შესამჩნევად გამოკეთდა.

როცა მამულებში ჩავდექ გამგედ და დავათვალიერე, დავბრუნდი უკან თბილისში და გავუზიარე ყიფშიძეს ჩემი აზრები და შეხედულობანი მამულზე. ამ მამულზედ ყიფშიძის ცნობებით ჰქონდა შემოსავალი 2000 მანეთი და ამაზედ მეტი კი გასავალი. მე კი დავაჯერე ყიფშიძე, რომ ჩემს ხელში მამული შემოიტანს 6000 მანეთს და ხარჯი არ აღემატება 3000 მანეთზე მეთქი. დავანებოთ ლიკვიდაციას თავი მეთქი. ისიც დამყაბულდა და დავბრუნდი და შევუდექი მამულების დალაგებით მუშაობას და ამ მუშაობისთვის პირობებისა და ნიადაგის შემზადებას. ეს იყო მთავარი მიზეზი რომ საზოგადოებამ აქამდისაც არ გაყიდა ეს მამული. და ვალიც 40 თუ 44 ათასიდგან დღეს უკვე 29 ათასზე ჩამოსულა. ჯერ პირველად დავალაგე სასახლე და მოძრავი ქონება. შევა[illegible] გაცალებით [illegible] ჩაბარებულზედ.

დავალაგე და დავასუფთავე კარმიდამო და საფუტკრე დავაწყე საბძელ-ბოსელი და თანხაზე ვაქციე დასალპობად განწირული მასალა, მხოლოდ მათგან დაკავებული გასუფთავებული მამული შევმატე სამუშაო ადგილებს.

ამავე დროს აქ გახსნილ სკოლის ოთახი, რომელიც სასახლის ძირს სართულში იყო და ბუღვარივით ბნელი, გავანთავისუფლე მიწის გორებისაგან, და ჩამოვაშორე ხეები, რომლებიც მასაც და სასახლესაც და აივანსაც აბნელებდა და ალპობდა. გავაფართოვე სასახლის წინა გზა და გავაფართოვე ბავშვებისათვის მისავალ-მოსავალი და სათამაშო ადგილი და გავაცალკევე და შევაკეთე სასახლის წინა ბაღი, რომელიც უამისოდ ფეხქვეშ ხვდებოდათ ბავშვებს.

თვით ეს ბაღიც გავწმინდე ბუჩქებისაგან, ძეძვებისაგან ავადმყოფი ხეებისაგან, ქვა-გორახისაგან, ჯერ ზედა პირი და შემდეგ კიდევ გადაბარილი. და ამის ნაცვლად დავთესე ბოსტნეული, ყვავილების ბაღჩები ფუტკრისთვის, შევაკეთე აუზი და წყლის მილები და ყვავილ-ნაირი, რომლისთვის მიწები თითქმის საცრებში იქნა დაცრილ-დამზადებული.

ვენახებში დავშალე ძველი უადგილო ცხრა რიგი ღობეები ამოვყარე და ამოვწვი ბარდ-ეკლები, თუმცა ეს ამოწვა ამოწმენდა და მამულის გაერთიანება-გაკეთება, ზოგიერთებმა და მათ შორის მეტადრე ბ. ილია რუხაძეს და მისი გესლიან ენის წყალობით შეცდომაში ჩავარდნილ ბატ. ლ. ბოცვაძესაც, მამულების აოხრებად მოეჩვენათ და შეიქნა განგაში შეუფერებელი, რომელმაც ბოლოს ბ. ბოცვაძე უხერხულობაში ჩააგდო, მაგრამ ამან ამ კაცს ავი ენა მაინც არ დაუყენა და შემდეგშიაც რაც მოხდა არა სასურველი ამ მამულში ამგვარი ენის და კაცის წყალობით და მეცადინეობით. ასევე მოვაქციე გაოხრებული ხილის ბაღებს, სადაც 800 ძირზე მეტი ხის მოჭრა, ამოღება და გამოზრდა მომიხდა. დავდგი და შემოვავლე 2 ვერსზე მეტი სიგძის ახალი ღობე, გავმარგლე და ამოვყარე ძეძვი და გავასუფთავე სამ დესეტინამდე მამული შუა ზვარში.

შევიყვანე ვენახებში 10 კომლი ადგილობრივ გლეხი მებაღეობა-მევენახეობის სრულყოფილ[illegible] წავიდე ახლად ხნვა, ბარვა, ყელვა, თოხნა, შეფურჩქვნა, წამლობა, მოსავლის თესვა წოყვანა, ღვინის დაწურვა დაყენება და ხეხილის მოვლა.

[illegible] მინდვრის მიწები, რამაც ის ნაყოფი გამოიღო, რომ იმ მამულებში, რომლებსაც ჩემამდის გლეხები არ იღებდნენ 900 მანეთად მერე 4000 მანეთს იძლეოდნენ. [illegible] 70 წ. ქაღალდების გადასინჯვა-ძებნით ვიპოვე ნამდვილად ჩვენი დაკარგული მამულების ნაჭრები და გადავიღე ამით გეგმების ასლები. ამ ასლებით კი, რაკი ვერც საზოგადოებამ და ვერც მოიჯარადრემ ნამდვილი მიწის მზომლები ვერ იშოვეს და ვერ გადიხადეს ფასი, შევუდექი მე თვითონ მუშაობას, რითაც ვიპოვე და დავუბრუნე საზოგადოებას 200 დესეტინაზე მეტი სახნავი და ტყე ვიპოვე და ადგილზედ რამდენიმე ყორღანი და [illegible]. უმამულოდ დარჩენილ [illegible] გლეხებს, რომლებიც გარეკილები ყოფილან მოძრაობისას გურამიანთ კარელ გლეხებისგან, გამოუყავი მამული და შევიყვანე ისევ მხმარებლების უფლებაში. დავყავით მთელი ახლოსოფლელი და გავანაწილე გლეხთა შორის [illegible] საბაღლოდ და გურამიანთ კარელ მამულები, თუმცა მის გახორციელებას ვეღარ შევესწარი, რადგან გადმომასახლეს.

(შემდეგი იქნება)

გ. ჯანჯღავა.

რედაქტორი ხარიტონ შარაშიძე.

## კალენდარი

### სამშაბათი, თებერვლის 6

ქართვ. ღირ. მამისა ჩვენისა ბუკოლოზ სმირნელ ეპისკოპოზისა. ქალ. მოწ. მართასი და მარიამისა.

კათოლ. წმ. მოწ. ტიტუსი და დოროთესი.

სომეხ. წმ. 12 წინასწარმეტყველისა.

მაჰმად. სე-შამბე 7 რ. ჯემადი ულ-ევვალ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომშლიში 7 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყნ. შექმნ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ | საფ. | № 5, | 11,32 ღამ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.28 სად. |
| ბაქო-ბორჯომის. | | № 19, | 3.17 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.19 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.51 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.46 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4.8, | 12.15 სად. |
| „ | | № 61. | 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე). |
| „ | | № 63.4, | 48 ნაშუადღევს მცხეთამდე. |

თბილისში მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 8.38 დილ. |
| „ | საფ. | № 6, | 7,41 საღ. |
| ბაქ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.57 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 9.50 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 8, | 10 26 დილ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10 20 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 7. 58 დილ. |

## კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდროვის ბაღის ახლო, ტელეფონი 481.
ავადმყოფებს მიიღებენ: დილის 10 საათიდგან 5 საათამდე.
ეჯანჯევი—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
ზენაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველდღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და [illegible], ყოველდღე 2—3 საათამდე.
თოხელიანი—ქალთა და [illegible] ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველდღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრონცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევა—კბილის ექიმი ყოველდღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვა—კბილის ექიმი ღებულობს ყოველდღე 10—12 საათამდე.
100—920—80

„ცხოვრება“ კალანდაძის გამზირის შესახვევი № 4.